ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 2019

№245 (8199)

ფასი: 60 თეთრი

## ხაშურში მშობიარე ინგა კაკიაშვილი გარდაიცვალა

ის მე-5 შვილს აჩენდა, რომელიც ასევე გარდაიცვალა



გვ.5

16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი



ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

# რა შემოუთვალა ამერიკის საელჩომ ივანიშვილს



ზარდიაშვილი არაფორმალურ დაჯგუფებას ქმნიდა და „ოცნებამ“ ამიტომ გაუშვა

გვ.4

## ზაალ უდუმაშვილი: „ოცნება“ პარტიებს დაემუქრა, მასთან თანამშრომლობა ოპოზიციისთვის ხარაკირია“

„ევროპულ საქართველოსთან“ პოლემიკა ოპოზიციის მიზანს აზიანებს, გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვს“



გვ.3

## რა შემთხვევაში გაიყვანს ივანიშვილი თადუმაძეს უზენაესის თავმჯდომარედ



გვ.3

კახა კოჟორიძე: „ივანიშვილი ფიქრობს, ეს მეტ სარგებელს მოუტანს მის პირად და პარტიულ უსაფრთხოებას თუ უფრო მეტად დააზიანებს?!“

## მირიან მირიანაშვილი: „რუსეთმა და თურქეთმა საქართველოზე 5 ფარული ხელშეკრულება დადეს“



გვ.4

## ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“ დღეს 40%-ზე მეტს ვერ აიღებს“



გვ.3

### სამართალი

გვ.5

## „გოჩა ვეფხვაძის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი“



მთაწმინდელი ძმები ქვეყნიდან უნდა გაპარულიყვნენ



## რუსთავში დავით მუმლაძის მკვლელობა ხაშურელმა ბიზნესმენმა ლევან ლომიძემ შეუკვეთა?



## 19 წლის გოგონას მოტაცების საქმეზე 2 პირი დააკავეს



2 ირმა ინაშვილი „ოცნებას“ რევოლუციით დაემუქრა

„ეგენი 15%-საც ვერ მიიღებენ“



2 ირაკლი კობახიძე: „2020-ში „ოცნება“ 60%-ს აიღებს, ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ — ჯამში 20%-ს“



7 ვერას წარმატებული დებიუტი სუპერლიგაში



6 კიმ კარდაშიანმა საკუთარი ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტზე ისაუბრა

ISSN 1987-9385

# ირაკლი კობახიძე: „2020-ში „ოცნება“ 60%-ს აიღებს, ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ — ჯამში 20%-ს“



– ვფიქრობ, რეალური სურათი, რაც შეიქმნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არის ასეთი: „ქართული ოცნება“ – 60%; „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი „ევროპული საქართველოთი“ – 20%; დანარჩენი ოპოზიცია – 20%. „ქართული ოცნებისთვის“ ეს მიღწევადი შედეგია,

ამის შესახებ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, გუშინ, 15 ოქტომბერს, ჟურნალისტებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოსალოდნელ შედეგებზე საუბრისას განაცხადა.

კობახიძის თქმით, „ქართული ოცნება“ არჩევნებზე გამარჯვებული პარტია იქნება. მან ასევე განმარტა, რა შემთხვევაში შეიძლება თეორიულად კოალიციის შექმნის აუცილებლობა დადგეს.

– რაც შეეხება 45%-ს, საუბარია მარტივ კალკულაციაზე, რომელიც გვაძლევს პროგნოზირების საშუალებას, თუ რა შემთხვევაში გახდება შესაძლებელი კოალიციის ფორმირება. ჩვენ ვიცით, როგორია სპექტრი და ჩვენი ვარაუდით, დიდად არ შეიცვლება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

არსებული სპექტრის პირობებში, გამარჯვებულმა პარტიამ დაახლოებით 45% მაინც უნდა აიღოს, რომ შედგეს კოალიცია. გამარჯვებულ პარტიას რაც შეეხება, არავის ეპარება ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებში იქნება გამარჯვებული პარტია, თუმცა 45% არ არის ჩვენი მიზანი და ამოცანა, – აღნიშნა პოლიტიკოსმა.

კითხვაზე, რა აძლევს მას აღნიშნული ციფრების დასახელების საფუძველს, ირაკლი კობახიძემ უპასუხა, რომ ის პროგნოზებში არსებითად არასდროს შემცდარა.

ამასთან, ირაკლი კობახიძე არ ასახელებს კოალიციის შექმნის შემთხვევაში, ვისთან ითანამშრომლებს „ქართული ოცნება“. ამასთან, ის ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ გამორიცხავს თანამშრომლობას ნაციონალურ მოძრაობასთან, „ევროპულ საქართველოსთან“ და ყველა იმ პარტიასთან, რომელიც ღიად უპირისპირდება ქვეყნის დასავლურ მიზნებს.

კობახიძის თქმით, „ქართულ ოცნებას“ „მარჩიელობა აღარ დასჭირდება“ და არჩევნების შემდეგ შეძლებს ისეთი შედეგის მიღებას, რომელიც კოალიციის შექმნის აუცილებლობას აღარ გახდის.

ირაკლი კობახიძემ 14 ოქტომბერს ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, რომ თუ „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს ხმების 45% მაინც ვერ მიიღო, კოალიციის შექმნა შეიძლება შეუძლებელიც კი გახდეს და მაღალია ალბათობა იმისა, რომ საჭირო გახდეს ხელახალი არჩევნების ჩატარება.

– ანუ ჩვენ დაახლოებით მივიღებთ იმ შედეგს, რაც დღეს არის ისრაელში, როდესაც ორი არჩევნები ჩატარდა და გამომდინარე იქიდან, რომ არის რადიკალური სხვადასხვაობა მოსაზრებებში, თუ შეხედულებებში კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, დღემდე ვერ იკვრება კოალიცია ვერც ერთ და ვერც მეორე მხარეს. ანუ, მაღალია ალბათობა იმისა, რომ ასეთი შედეგი დადგეს და საჭირო გახდეს ხელახალი არჩევნების ჩატარება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – იმ შემთხვევაში, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ხმების მინიმუმ 45% არ მოაგროვა. თუმცა 45% და უფრო მაღალი შედეგიც საკმაოდ რეალურია, – განაცხადა 14 ოქტომბერს კობახიძემ და დასძინა, რომ ამის თქმის საფუძველს დღევანდელი სურათიც აძლევს.

# ირმა ინაშვილი „ოცნებას“ რევოლუციით დაემუქრა

## „ეგენი 15%-საც ვერ მიიღებენ“

ირმა ინაშვილის თქმით, „პატრიოტთა ალიანსი“ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში არ შევა.

როგორც ინაშვილმა განმარტა, „ოცნებას“ იმდენად აქვს დაკარგული ხალხის ნდობა, რომ მასთან კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობა „პატრიოტთა ალიანსისთვის“ საინტერესო არაა.

– კობახიძე არც გამორჩეული პარლამენტის თავმჯდომარე იყო, არც გამორჩეული პოლიტიკოსი და ექსპერტია, რომ საარჩევნო პროგნოზები გაგვიზიაროს.



არავინ არ ილვწის, რომ კოალიციაში შევიდეს „ქართულ ოცნებასთან“. ჩვენი პოლიტიკური გუნდი ნამდვილად არ ილვწის ამისათვის. „ქართული ოცნების“ იმიჯი დღეს იმდენადაა დაზიანებული, იმდენად აქვს დაკარგული ხალხის ნდობა, რომ მასთან კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობა აშკარად არაა საინტერესო ჩვენთვის.

„ქართული ოცნება“ 45% და 50%-ს კი არა, დღევანდელ ვითარებაში ხმების 15%-ს ვერ მოიპოვებს, ამიტომ ვის ვისთან და როგორ მოუწევს მომავალში კოალიციის შექმნა ან არშექმნა, ამას 2020 წლის არჩევნების შედეგები გვაჩვენებს, მაგრამ თუ „ქართული ოცნება“ იმას ფიქრობს, რომ კვლავ ბოკერიას დაუწერს ხმებს (როგორც დაუწერა თითქოსდა 800.000 ხმა) და გააგრძელებს მოღალატურ თამაშს მწამებლების პარტიებთან, მიიღებს, არც მეტი და არც ნაკლები, რევოლუციას ქვეყანაში.

ამდენად, ყველას ვურჩევ, კარგად დაფიქრდეს, როცა საარჩევნო პროგნოზებსა და წითელ ხაზებზე საუბრობს. მათ შორის, ბატონ კობახიძეს, რომელიც საკუთარი გვარითა და სახელით რომ გავიდეს არჩევნებზე, 2 ხმასაც ვერ მიიღებს, ვარწმუნებ, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

# პოლიციამ ყიფშიძის ქუჩაზე მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, 1972 წელს დაბადებულ ლ.ძ. დააკავეს. მას ბრალად ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, რაც 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული ინტენსიური და კომპლექსური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ამავე ფაქტზე ორი პირი 10 ოქტომბერს თბილისში დააკავეს. 1962 წელს დაბადებულ ზ.ც.-ს და 1973 წელს დაბადებულ დ.ჯ.-ს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინათ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ 1962 წელს დაბადებულმა ზ.ც.-მ და 1973 წელს დაბადებულმა დ.ჯ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1972 წელს დაბადებულ ლ.ძ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობები მიაყენეს.

თუმცა, გამოძიებით ასევე გამოიკვეთა, რომ ზ.ც.-ს და დ.ჯ. მიერ ლ. ძ.-ის მკვლელობის მცდელობას წინ უძღოდა ლ.ძ.-ს მიერ გ.ც.-ის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტი.

# ზაზა პაპუაშვილი უმრავლესობას არ ტოვებს

## „ეს ჟურნალისტებისგან მესმის პირველად“



დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ის საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს.

– არ ვადასტურებ, რომ მე უნდა დავტოვო პარლამენტი ან პარტია. ეს ჟურნალისტებისგან მესმის პირველად, სხვა ინფორმაცია არ გამაჩნია, არ გიდასტურებთ. რაც შეეხება 2020 წლის სიას, ჯერ არ არის საუბარი იმაზე, ვინ იქნება და ვინ არა სიაში. თუმცა გაკეთდება ისე, როგორც საჭიროა, ყოველგვარი ნერვებისა და ისტერიის გარეშე.

მე სურვილი მაქვს ბრძოლის და ვიცი, რა გამოწვევებია ქვეყანაში შიგნით და რა გამოწვევებია გარედან. შემიძლია ერთგულად ვემსახურო ქვეყანას და არა საკუთარი თამაშით და რაღაც საკუთარი ახირებებით ვიხელმძღვანელო, მაშინ ნებისმიერ ბრძოლას ვიღებ, სადაც საჭირო იქნება. არ იქნება საჭირო?! უკეთესი გაჩნდება?! უკეთესი უნდა იყოს და ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ.

ჩემთვის და თითოეული ჩვენთაგანისთვის ჯერ არის ქვეყანა და შემდეგ – პირადი სურვილები და ახირებები. მე ბევრ ადგილას ვხედავ საჭიროებას, სადაც უნდა ვიყო, მაგრამ იმიტომ არსებობს გუნდი და კონსულტაციები, რომ ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას, ერთმანეთს ვარწმუნებთ და არგუმენტებით ველაპარაკებით, სხვანაირად საუბარი არც მესმის და არც ვიღებთ სხვანაირ საუბრებში მონაწილეობას. ამ ეტაპზე არანაირი კონსულტაციები არ ყოფილა, – განაცხადა დეპუტატმა პაპუაშვილმა.

# როლანდ ახალაია: „ბოკერია-ბაქრაძე, ლომის წვლილი მიგიძღვით ჩვენი ოჯახის განადგურებაში!“

## „გუნავა, შე არარაობავ, რა გადაგიხადეს ამდენი!“



„გადავწყვიტე ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ ბოკერია-ბაქრაძის ინიციატივაზე. არც ერთი არ მყავს მეგობრებში, მაგრამ ვიცი, „ჩიტები“ მიუტანენ ამბავს. ნაძირლობა ცუდია, მაგრამ ის უფრო უარესია, როცა ფსკერს ქვემოთაა. წლებია ხმა არ ამოგიღიათ თქვენ თანამებრძოლ პოლიტიკურ ტუსაღებზე და ვის პირდებით პოლიტიკურ ამნისტიას, ალბათ, თქვენ თავსაც გულისხმობთ, რადგან არანაკლებ წვლილი მიგიძღვით მათ პოლიტიკურ დევნაში“

ამის შესახებ ყოფილი დეპუტატი როლანდ ახალაია სოციალურ ქსელში წერს.

„თქვენი წინასწარი განზრახულობაც ხომ ეგ იყო, რამდენიმე პირისთვის შეგეხოცათ ხელი და გათეთრებულები დარჩენილიყავით. მიუხედავად იმისა, ივანიშვილთან გარიგებულები ხართ, მაინც წარმოუდგენლად მიმაჩნია, თქვენ ხელისუფლებაში მოხვიდეთ და თქვენი გადასაწყვეტი იყოს, ვინ იქნება უფრო მაღლა, თქვენ თუ კანონი.

ნუ გვაღიზიანებთ გამწარებულ ოჯახებს, თორემ ეს უსამართლობით გამოწვეული ისედაც პიკზე მყოფი „აგრესია“ თქვენსკენ მობრუნდება და მაინც არ გისურვებთ მის განცდას, მიუხედავად იმისა, ლომის წვლილი მიგიძღვით ჩვენი ოჯახის განადგურებაში.

ეს არაა ლიტონი სიტყვები და ის აღსრულებადია. ამაში დარწმუნდებით, როცა შესაფერისი დრო დადგება. საჯაროდ არაფერი გვითქვამს, ეს არ ნიშნავს იმას, არ ვიცოდეთ, რა ხდებოდა ჩვენს თავს და ვის რა წვლილი მიუძღვით. არაფერი არ იმალება ხოლმე. მით უმეტეს, ჩვენნაირ ერში.

და ბოლოს, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს. დღემდე არაფერი მითქვამს და აზრიც არა აქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი. გუნავა, შე არარაობავ, რა გადაგიხადეს ამდენი, რომ ყველაფერი გაყიდე, რისი გაყიდვაცაა შესაძლებელი. რას ეტყვი შენს შვილებს, როცა წამოიზრდებიან. არა მგონია, ყველა ბუნებით შენ დაგემსგავსოს და ნამუს-უნამუსობა არ გაარჩიონ.

როგორ თანაცხოვრობ შენი სიყრმის მეგობრების მტრებთან და რა ნამუსით შეგაქვს მათგან ნაბოძები და ღალატის სუნით გაჟღენთილი „სიკეთე“ ოჯახში.

ბოდიშს გიხდით, ფეისბუქ მეგობრებო. უბრალოდ პატარა ამონახეთქია იმ უსამართლობისა და ღალატისაგან დაგროვილი მუხტისა, რასაც 7 წელია თან ვატარებ.

შეიძლება ზოგს მოეწონოს, ზოგს არა, მაგრამ ვერ იტევს გული ამდენ პირადი კეთილდღეობისათვის მებრძოლი არაკაცების მოღალატურ ქმედებებს.

მწამს, აუცილებლად დადგება ჟამი მოკითხვისა, თუ განკითხვისა. თუ ბედმა მარგუნა, მოვესწრები. თუ არადა, ცხოვრება გრძელდება და მომკითხავი მუდამ იქნება“ – წერს სოციალურ ქსელში როლანდ ახალაია.

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა



სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში გუშინ, 15 ოქტომბერს, 18:57 საათზე, მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ხარაგაულის რაიონში, სოფელ ჩალხეეთთან იყო. მისმა სიმძლავრემ 4.5 მაგნიტუდა შეადგინა.

# ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ჯარმა აფხაზ სამხედროებთან ერთად წვრთნები დაიწყო

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ჯარმა აფხაზ სამხედროებთან ერთად წვრთნები დაიწყო. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახური ავრცელებს.



წვრთნების ამოცანას მთაში და ზღვის სანაპიროზე პირობითი მტრის დანაყოფების შეპყრობა და განადგურება წარმოადგენს.

წვრთნებში 1.000-მდე სამხედრო მოსამსახურე და 150 ერთეული სამხედრო ტექნიკა მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის საბრძოლო ვერტმფრენი „ალიგატორი“ და მრავალფუნქციური ვერტმფრენი „ტერმინატორი“.

# ტაქსის მძღოლი, რომელმაც უკრაინელ ქალს სცემა, დააკავეს

თბილისში 52 წლის ტაქსის მძღოლი, რომელიც უკრაინელ ტურისტ ქალს ფიზიკურად გაუსწორდა, დააკავეს.

შსს-ს ცნობით, ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ გ.თ.-მ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე უკრაინის მოქალაქე ლ.კ.-ს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ასევე, დააზიანა მისი კუთვნილი ნივთები. გამოძიება ძალადობისა და ნივთის დაზიანების ფაქტებზე საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლისა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა შემთხვევაში გაიყვანს ივანიშვილი თადუმაძეს უზენაესის თავმჯდომარედ

## კახა კოჟორიძე: „ივანიშვილი ფიქრობს, ეს მეტ სარგებელს მოუტანს მის პირად და პარტიულ უსაფრთხოებას თუ უფრო მეტად დააზიანებს?!“

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **კახა კოჟორიძე** პასუხობს.

***– კახა, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ფონს? წინ 2020 წლის არჩევნებია, პოლიტიკური ლიდერები კი „ოცნების“ მხრიდან სერიოზულ დევნას და შევიწროვებას განიცდიან. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– სამწუხაროდ, ინსტიტუტების დასუსტების და ნგრევის პროცესი გრძელდება. ჩვენ ვხედავთ, რომ ის სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც უნდა ასრულებდნენ სახელმწიფოებრივ ამოცანას, ზეპარტიულ ამოცანას და კანონის უზენაესობის იდეას ემსახურებოდნენ, ემსახურებიან პარტიულ ინტერესებს.

ეს პარტიული ინსტიტუტები როდესაც დაუკვეთენ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ საქმე შეკერონ, ისინიც კერავენ ამ საქმეებს.

***– კერძოდ, ვის საქმეს გულისხმობთ?***

– თუნდაც ასე შეიკერა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე. ასე შეიკერა გვარამიას საქმე. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პროკურატურაში უამრავი საქმე არის დასაწყობებული, თაროებზე შემოდებული და მტვერი ადევს ამ საქმეებს. უმძიმესი დანაშაულის საქმეებზეა საუბარი და გამოძიებები არ ხდება, ხოლო კერძო კომპანიაში გვარამიას 3 კვირაში მრავალტომიანი საქმე შეუკერეს.

ასევე პოლიტიკური დაკვეთის შესრულება მიდის ხაზარაძის შემთხვევაშიც. მე ვესწრებოდი იმ პროცესს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩატარდა და ერთ კონკრეტულ დეტალს გეტყვით. იქ წარდგენილია მტკიცებულებად ექსპერტების დასკვნა და მეტი დამაჯერებლობისთვის ეს სპეციალისტები არიან უცხოელები, რომლებმაც ეს დასკვნა დაწერეს.

***– მერე და ამაში რა არის უცნაური?***

– უცხოელებმა, რომლებმაც ეს დასკვნა დაწერეს, არ იციან ქართული, ხოლო საქმის მასალები, რის საფუძველზეც ეს დასკვნა დაიწერა, მხოლოდ ქართულად არის და ინგლისურად არ არის ნათარგმნი. შესაბამისად ჩნდება კითხვა, რა მასალების საფუძველზე დაიწერა ასეთი დასკვნა?!

ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს პროკურატურას. თურმე ეს უცხოელი ექსპერტები ყოფილან პროკურატურის მიერ დაქირავებული „ობიექტური“ მრჩევლები და აი ამ ტიპის „ობიექტური“ დასკვნებით უნდათ იმ აბსურდული ბრალდების გამართლება.

ჩვენ ასევე ვხედავთ, რა პროცესები ხდება პარლამენტში.

***– რომელ პროცესებს გულისხმობთ?***

– მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენებთან დაკავშირებით. თავად პარლამენტში ამ ტიპის საჯარო განხილვები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ეს არის ფარსი! იქ კითხვა-პასუხის შედეგების მიხედვით კი არ გადაწყდება ეს საკითხები, ეს საკითხები გადაწყვეტილია უკვე და უკვე იციან შიგნით, ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და ვინ ვერ გახდება.

***– ამხელა სკანდალის მიუხედავად, თადუმაძეს მაინც გაიყვანენ?***

– ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს შემდეგნაირად – თადუმაძის, როგორც მისი ერთგული კადრის, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნა უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მის პირად და პარტიულ უსაფრთხოებას თუ უფრო მეტად დააზიანებს?!

ასე შეხედავენ ამ საკითხს და ამის მიხედვით მიიღებს ივანიშვილი გადაწყვეტილებას და არა იმის მიხედვით, რომ თადუმაძეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გახდომა სახელმწიფოსთვის კარგი იქნება თუ ცუდი. ისინი ასე არ აყენებენ საკითხს. მათთვის სასარგებლო იქნება თუ საზიანო – ამ ჭრილიდან უყურებენ.

როდესაც ამხელა კრიტიკა იყო თადუმაძის მიმართ, იმედია, უფრო მეტად დაფიქრდებიან, თუმცა მათგან გამორიცხული არაფერია. არც არავის ეგონა, რომ 20-21 ივნისის მერე გახარია პრემიერი გახდებოდა, მაგრამ გახდა. ამხელა სკანდალის მიუხედავად, თადუმაძეც შეიძლება გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. დიპლომი არ არის აქ ერთადერთი პრობლემა.

***– კიდევ რა პრობლემები გამოიკვეთა?***

– პროკურატურა რომ თვალებდათხრილ ადამიანებს დაზარალებულად არ ცნობს, ესეც მიუთითებს იმაზე, რომ პროკურატურა პოლიტიკური დაკვეთების გამტარებელ ორგანოდ გადაიქცა. ხოლო ის პასუხები, რომლებსაც თადუმაძე და დანარჩენები სცემენ ჩვენს კითხვებზე, კომპეტენტურობის თვალსაზრისითაც უაღრესად პრობლემურია.

თუნდაც იმის თქმა, რომ სანამ სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირება არ მოხდება, მანამდე პირი დაზარალებულად არ უნდა იქნეს ცნობილი,



აბსოლუტურად ამოვარდნილია არა მხოლოდ სამართლებრივ სწორი მიდგომიდან, არამედ პრაქტიკიდანაც.

იგივე შემთხვევა იყო ილია ჯიშკარიანთან მიმართებაშიც. მე კითხვას ვსვამ – სხვა საქმეებზე ასე ხდება? როდესაც დაზარალებული საუბრობს იმაზე, რომ სავარაუდო მოძალადემ სცემა, ფიზიკური დაზიანება მიაყენა, სექსუალურ ძალადობას ჰქონდა ადგილი და ასე შემდეგ, მხოლოდ გირაოთი კმაყოფილდება პროკურატურა?!

ვიცით სისხლის სამართლის საქმეები, სადაც დაზარალებულის ერთი ზარი, რომ ოჯახურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, საკმარისია ხოლმე იმისთვის, რომ პირი დააკავონ.

***– ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ მოხდა.***

– დიახ, ოჯახურ ძალადობაზე გაცილებით მძიმე მუხლზეა საუბარი და პირს არ აკავებენ. შემთხვევის ადგილზე შემთხვევიდან 9 საათის მერე მივიდნენ გამომძიებლები, როცა დაალაგეს და დაასუფთავეს შემთხვევის ადგილი, საიდანაც მრავალი მტკიცებულების ამოღება შეიძლებოდა. სპეციალურად გაიწელა ეს ვადა, რომ მტკიცებულებები არ შეგროვებულიყო.

30 სექტემბერს აცხადებს დაზარალებული, რომ ასეთი დანაშაული მოხდა და 5 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც საზოგადოების პროტესტი და გამოხმაურება მოჰყვა ამ ამბავს, იკადრეს და დაიბარეს დაკითხვაზე ბატონი ჯიშკარიანი. გამოძიება სპეციალურად აყოვნებდა ამ პროცესს, რომ მტკიცებულებები არ შეგროვებულიყო. სისხლის სამართლის საქმეებზე ვისაც უმუშავია, მან კარგად იცის ტერმინი – გაფუჭებული საქმე, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოძიებამ შესაძლებელია მიზანმიმართულად არ შეაგროვოს მტკიცებულებები, არ აწარმოოს სათანადო გამოძიება და გააფუჭოს საქმე. ეს კი სასამართლოს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ბრალდება ვერ დადასტურდა.

***– ეს არის მიზანმიმართული ქმედება თუ არაკომპეტენტურობა?***

– არც არაკომპეტენტური კადრების ნაკლებობას ვუჩივით, თუმცა ამ შემთხვევაში მიზანი სულ სხვა იყო.

მართლმსაჯულების სისტემას დღეს საქართველოში აქვს ორი მთავარი პოლიტიკური ამოცანა. პირველი ამოცანა არის პოლიტიკური ოპონენტების დევნა და მეორე ამოცანა არის საკუთარი პარტიის წევრების და მათთან დაახლოებული პირებისთვის ხელის დაფარება.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი რომ ფიგურირებდა ამ საქმეში, სწორედ მთელმა სისტემამ დაიწყო მეორე ამოცანის შესრულება, რომ ხელი დაეფარებინათ. ამ ქეისმა ძალიან კარგად წარმოაჩინა მთელი სისტემა. ერთი მხრივ, მართლმსაჯულების სისტემა, მეორე მხრივ – პროპაგანდის სისტემა.

***– პროპაგანდის სისტემაში რას გულისხმობთ?***

– როდესაც მართლმსაჯულების სისტემას გაუჭირდა და საზოგადოების აზრი უარყოფითი იყო ამ დეპუტატის მიმართ, მერე უკვე ჩაერთო მეორე სისტემა, ტროლების სისტემა, სადაც წამოვიდა უაღრესად შეურაცხმყოფელი კომენტარები, სტატიები და ბრალდებები დაზარალებულის და მისი დამცველების მიმართ. ამ მახინჯმა სისტემამ შედეგად გამოიღო ის, რომ მსხვერპლი აღმოჩნდა დასჯილი იმ შეურაცხმყოფელი მორალური ტერორის შედეგად, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

მსხვერპლი დაისაჯა და დაცულ იქნა სავარაუდო დამნაშავე – ეს არის ამ მახინჯი სისტემის ანატომია, რასაც საქართველოში ადგილი აქვს. დღეს ეს მანკიერი სისტემა ყველას თანაბრად ეხება.

***– როდესაც ასეთი მძიმე ფონია და ყველაფერს აკეთებს „ოცნება“ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, რას უნდა ველოდოთ 2020-ისთვის?***

– ასე ვეღარ გაგრძელდება, ცხადია. ცვლილება აუცილებელია. ქვეყანამ ეკონომიური და დემოკრატიული განვითარება შეაჩერა. უნდა მოვახერხოთ, რომ რაღაცნაირად განვითარდეს და წინ წავიდეს. რაც შეეხება 2020-ს, კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ, რომ მთავარი არის არა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, არამედ საქართველოს მოსახლეობა.

მოსახლეობა თუ იქნება მობილიზებული, ცვლილებები აუცილებლად იქნება.

# ზაალ უდუმაშვილი: „ოცნება“ პარტიებს დაემუქრა, მასთან თანამშრომლობა ოპოზიციისთვის ხარაკირია“

## „ევროპულ საქართველოსთან“ პოლემიკა ოპოზიციის მიზანს აზიანებს, გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ 45%-ს აიღებს, ხოლო თუ 45%-საც ვერ აიღებს, მაშინ, სავარაუდოდ, გართულდება სამთავრობო კოალიციის შექმნა და საჭირო გახდება ხელახალი არჩევნები. ეს განცხადება ირაკლი კობახიძემ 14 ოქტომბერს „პალიტრანიუსის“ ეთერში გააკეთა.

გუშინ კი იმავე ირაკლი კობახიძემ გვითხრა, რომ „ქართული ოცნება“ 60%-ს აიღებს, „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა ერთად 20%-ს, ხოლო დანარჩენი პარტიები ასევე 20%-ს. კობახიძე იმასაც ამბობს, რომ მისი პროგნოზები მართლდება.

ნიშნავს თუ არა კობახიძის განცხადება იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კოალიციის შესაქმნელად მობილიზება უკვე დაიწყო, არის თუ არა მცირე პარტიებისთვის გზავნილი, რომ ან ჩვენთან ითანამშრომლებთ, ან პარლამენტს გარეთ დარჩებითო, რას ფიქრობ მისი პარტიისა და „ევროპული საქართველოს“ მწვავე პოლემიკაზე და ხომ არ ზიანდება საერთო ოპოზიციური მიზანი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი** საუბრობს:

***– რა გზავნილი იყო ეს იმ პატარა პარტიებისთვის, რომლებმაც შესაძლოა 1-3 მანდატი მიიღონ? ხომ არ უთხრა მათ, ან ითანამშრომლეთ ჩვენთან, ან შემდეგ 5%-იანი ბარიერით ჩავატარებთ არჩევნებს და ვეღარ მოხვდებით პარლამენტშიო?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს პრაქტიკულად მუქარა იყო იმ პატარა პარტიებისთვის, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში. მათ ირაკლი კობახიძემ უთხრა, რომ თუ არ გაერთიანდებით ჩვენთან, მაშინ საერთოდ პარლამენტის მიღმა დარჩებითო. ეს იყო მთავარი გზავნილი ირაკლი კობახიძისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან.

ესეც გასაგებია, იმიტომ, რომ ეს იმას ნიშნავს, „ქართული ოცნება“ ცდილობს სრული მობილიზაცია გამოაცხადოს. ამ განცხადების მეორე ნაწილსაც უნდა შევხედოთ, სადაც იკითხება, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია ის, რომ „ქართული ოცნება“ უმრავლესობით ვერ მოვა პარლამენტში და მას მოუწევს თანამშრომლობა სხვებთან. მათთან, ვინც მასთან თანამშრომლობას დათანხმდება. ასე რომ, ახლავე ამზადებენ ნიადაგს იმ პარტიებისთვის, რომლებსაც უნდათ, რომ პარლამენტში დამოუკიდებლად შევიდნენ. ახლა „ოცნება“ ცდილობს, რომ ეს პარტიები რაღაცნაირად მასთან ბმაში იყვნენ და თავის ორბიტაზე გადაიყვანოს.

მეორე საკითხია „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა ოპოზიციური პარტიებისთვის. ეს ფაქტობრივად ხარაკირია ყველა იმ ოპოზიციური პარტიისთვის, რომელიც აცხადებს, რომ ის არის პროდასავლური ოპოზიციური პარტია. ასე რომ, არა მგონია, ამ განცხადებების მიუხედავად, ბევრი მომხრე გამოუჩნდეს იმ იდეას, რაც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად კოალიციური მთავრობის შექმნას გულისხმობს. ამაში, რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ სერიოზულ ოპოზიციურ პარტიებს.

თუმცა, ვხედავთ იმ პროცესსაც, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებული აქვთ „ქართულ ოცნებაში“. მხედველობაში მაქვს ის, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“ დღეს 40%-ზე მეტს ვერ აიღებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თუ არჩევნებში ხმების 45%-ს ვერ მიიღებს „ოცნება“, კოალიციის შექმნა გაუჭირდება. შემდეგ მან შეცვალა მაჩვენებლები და 60%-ს ავიღებთო. თქვენი ვარაუდით, რამდენს აიღებს „ოცნება“?***

– ძალიან რთულია პროგნოზირება მით უფრო, როდესაც ერთი წელია წინ, მაგრამ ნამდვილად არ იქნება არც 45% და არც 60%. დღეს რომ ტარდებოდეს არჩევნები, ალბათ 35-დან 40%-მდე აიღებდა.

***– კოალიციის შექმნა „ოცნებას“ გაუჭირდება?***

– ზურაბ ჯაფარიძემ ერთ-ერთ ეთერში განაცხადა, რომ ის მზად არის „ოცნებას“ მანდატებით დაეხმაროს. რაც, ჩემი აზრით, სწორი მიდგომაა თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ დგება კოალიციები დასავლეთში.

ამდენად, გარდა პრორუსული ძალებისა, „ქართულ ოცნებას“ დასავლური ღირებულებების ფლანგზეც შეიძლება პარტნიორი აღმოაჩნდეს და ეს შეიძლება „გირჩი“ იყოს. მათ იდეური თანხვედრა ნამდვილად აქვთ. ივანიშვილის იდეა კანაფის მოყვანასთან დაკავშირებით და „გირჩის“ პოზიცია კანაფის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, არ მგონია, ერთმანეთთან აცდენაში იყოს.



თუმცა, თუ საქართველოს პოლიტიკის უახლეს ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ დეპუტატები პოლიტიკური მდგრადობით არ გამოირჩევიან. ხომ გახსოვთ, 2004 წელს შევარდნაძის მაჟორიტარები როგორ აღმოჩნდნენ უცებ სააკაშვილთან. არაფერს ვამბობ ლეიბორისტების ბეგაშვილზე, რომელიც ლამის ნაციონალების სახედ იქცა. ჩვენს რეალობაში გადმოპორტირების ისტორია ახალი ხომ არ არის?!

***– თქვენ ამბობთ, რომ „ოცნებას“ მთავრობის დაკომპლექტება არ გაუჭირდება?***

– არა, რა თქმა უნდა! აღმოჩნდებიან დეპუტატები, რომლებიც ამას სიამოვნებით გააკეთებენ. თუმცა, რასაკვირველია, 15--ს გადმობირებას 6-ის გადმობირება ჯობია.

ამ არჩევნებზეც იგივე მექანიზმი იმუშავებს, რაც დღემდე მუშაობდა და რითაც დღემდე იგებდა „ოცნება“ არჩევნებს. დაშანტაჟება იქნება, მაგრამ არა იმდენად თეზისით ნაციონალური მოძრაობა მოვა, არამედ თეზისით არასტაბილური გარემო იქნება და ამიტომ საჭიროა ამომრჩევლის მობილიზება.

***– აღარ იმუშავებს ნაციონალების დაბრუნებით დაშინება?***

– ნაციონალური მოძრაობა უკვე იმდენად ჭრელია, იმდენად ფართო სპექტრია, რომ ვერ იმუშავებს. ამიტომ დაიწყო ლაპარაკი არასტაბილურობაზე. არასტაბილური გარემო კი არავის არ უნდა. ახლა ამით უფრო მოახდენენ ყოფილი მხარდამჭერების უკან მობრუნებას.

***– გიგა ბოკერიას განცხადებას ამნისტიის შესახებ არაერთგვაროვანი პოზიციები მოჰყვა როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მხრიდან, თქვენთვის ეს რა გზავნილია?***

– ნამდვილად არადროული განცხადება იყო. ბოკერიას ზოგადად ვეთანხმები იმაში, რომ რეპრესიები არ უნდა იყოს და რეპრესიებს ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ. 2012 წელსაც „ქართულ ოცნებას“ მოვუწოდებდი, რომ რეპრესიებზე კი არა, ქვეყნის აღმშენებლობაზე ყოფილიყო მთავარი აქცენტი. ამდენად, იდეა მისაღებია, მაგრამ დღეს ამნისტიაზე ლაპარაკი, რაც ძველი ცოდვების მიტევებას ნიშნავს, არ მგონია, მართებული იყოს, რადგან ამნისტია არ არის ახალი დანაშაულებების მიტევება.

***– სააკაშვილისა და ბოკერიას დაპირისპირებაში ვინ უფრო მომგებიან პოზიციაშია? აშკარაა, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია.***

– დღეს „ევროპული საქართველო“ ცდილობს, მოძებნოს ის გზები, რომლებიც მას ელექტორატის თვალში ნაციონალური მოძრაობისგან განასხვავებს, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც მხარი დაუჭირეს საპრეზიდენტო არჩევნებში გრიგოლ ვაშაძეს, ეს ცოტა რთული იქნება, თუმცა აშკარაა, რომ ამას ცდილობენ.

***– ხელისუფლების რიტორიკაც ასეთია, რომ ისინი ერთნი არიან, რადგან როდესაც ერთმანეთს სჭირდებიან, ერთად არიან.***

– დიახ. ამიტომ, ცდილობენ, ეს გარღვევა მენტალურად მოახდინონ. ასევე ცდილობენ, ოპოზიციურ ფლანგზე პირველი პარტია გახდნენ და ნაციონალური მოძრაობა ჩააჩოჩონ.

ეს სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, რამდენად შეძლებენ ამას, ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ამისთვის ბევრი ჭკვიანური და მოზომილი ნაბიჯის გადადგმა მოუწევთ. ვნახოთ, რამდენად შეძლებენ.




**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# მირიან მირიანაშვილი: „რუსეთმა და თურქეთმა საქართველოზე 5 ფარული ხელშეკრულება დადეს“

მარიამ მჭედლიშვილი

რა გარიგება აქვთ საქართველოზე ერთმანეთთან რუსეთსა და თურქეთს? რას უპირებს რუსეთ-თურქეთ-ირანის სამეული დასავლეთი? როგორ უნდა მოიქცეს ანტითურქული სანქციების მოქმედებისას საქართველო? ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერი **მირიან მირიანაშვილი** საუბრობს.

***– თურქეთი აგრძელებს მორიგ სამხედრო ოპერაციას სირიაში, საქართველოში კი მსჯელობენ იმაზე, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ აშშ-ის მხრიდან თურქეთისათვის სანქციების ამოქმედებისას.***

– თურქეთის წინააღმდეგ ერთი ამერიკული სანქცია ძალაში შევიდა. მზადდება სხვა სასანქციო პაკეტები როგორც აშშ-ის კონგრესში, ისე ადმინისტრაციაში. ისინიც მალე ამოქმედდება. საქართველო ამ სიტუაციაში უნდა მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება სახელმწიფოს, რომელიც იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს. თურქეთთან, რომელიც რუსეთის მოკავშირეა, ჩვენ ჩვენი ანგარიშები გვაქვს.

***– რა ანგარიშები?***

– რასაც ახლა ვიტყვი, პოლიტიკოსებისთვისაც უცნობია. რუსეთი და თურქეთი ერთმანეთთან გარიგებული არიან საქართველოს შესახებ. 2002-დან 2016 წლამდე მათ შორის საქართველოს თაობაზე დადებულია 5 ფარული ხელშეკრულება. ისინი ეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტროლს საქართველოში.

***– რუსეთი და თურქეთი საქართველოში ამ ფარული ხელშეკრულებების მიხედვით მოქმედებენ?***



– ცხადია. აჭარაში თურქეთი ნაწილობრივ შემოსულია. ეს დაიწყო რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ. ესეც, ისევე, როგორც „ვარდების რევოლუცია“, მოსკოვმა შეუთანხმა ანკარას. 2016 წლის საიდუმლო ხელშეკრულებით, რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობაში პროთურქული კადრების დანიშვნას და დამაგრებას. საბოლოოდ, რუსეთს და თურქეთს დაგეგმილი აქვთ საქართველოს დაშლა.

***– რუსეთი და თურქეთი საქართველოს დაშლაზე გარიგდნენ?***

– ეს ასეა. ამ მდგომარეობაში ჩვენი პრეტენზია უნდა იყოს ამ ფარული ხელშეკრულებების გაუქმების მოთხოვნა.

***– ამისათვის შექმნილი მდგომარეობა უნდა გამოვიყენოთ?***

– რასაკვირველია. თურქეთის საკითხზე საქართველომ კონსულტაციები უნდა გაიაროს აშშ-სთან. არ უნდა დავდგეთ სირიის ხელისუფლების მხარეს, რომელმაც აღიარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობა“.

აშშ თურქეთს მარტო სირიის გამო არ უპირისპირდება. ვაშინგტონი აკავებს თურქეთის იმპერიულ განზრახვებს მთელ რეგიონში. აჭარის ავტონომია ჩრდილოეთ სირიის ანალოგიაა. თურქები პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაკარგულ ორ ქალაქს, იდლიბსა და ბათუმს ერთნაირად მისტირიან. მათი მიზანია ამ ქალაქების დაბრუნება. თურქეთმა ჩრდილოეთ სირიაში ოპერაცია დაიწყო რუსეთის მხარდაჭერით.

***– ამერიკულ სანქციებში ადრევე მოექცნენ რუსეთი და ირანი. მათ შეუერთდა თურქეთი. ეს რეგიონზე იმოქმედებს?***

– ბუნებრივია. რეგიონის გარდაქმნა და რუსეთ-თურქეთ-ირანის კავშირის დასუსტება ისედაც ჩაფიქრებული იყო. იცვლება რეგიონის არქიტექტურა. ამაში საქართველოს საკვანძო როლი აქვს.

წინა აზია, რომლის გაგრძელებაც არის კავკასია, გადაქცეულია გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების მოვლენების ეპიცენტრად. რეგიონის არქიტექტურის შეცვლა თავისთავად იწვევს დრამატულ პროცესებს პოლიტიკაში. ამ კონტექსტში მოსალოდნელია ტექტონიკური ძვრები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური რენოვაცია 2020 წელს შეეხოს აზერბაიჯანსაც.

***– მსოფლიო დაინტერესებულია ჩვენი რეგიონით?***

– რასაკვირველია. ინტერესი უზარმაზარია როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან, მათ შორის, არაბული სახელმწიფოებიდან. საქართველოს უდიდესი ბენეფიტები უნდა ჰქონდეს, სატრანზიტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამის მაგივრად, ქვეყანა ღარიბი და უმწეოა. დამოუკიდებლობის შემთხვევაში საქართველოს ექნებოდა კუთვნილი სარგებელი.

***– აშშ-ს რუსეთ-თურქეთ-ირანის ალიანსის შესუსტებაც უნდა?***

– თავისთავად. ამ ალიანსის დასუსტება გარდაუვალია. სირიის გამო ამ ქვეყნებმა ოფიციალური ფორმატი შექმნეს. რუსეთ-თურქეთ-ირანის ლიდერების შეხვედრები სოჭში, ასტანაში და სხვა ქალაქებში მხოლოდ საბაბია. ისინი მარტო სირიაზე არ ლაპარაკობენ. არ ყოფილა სამმხრივი შეხვედრა, სადაც არაოფიციალურად არ ეხსენებინათ საქართველო.

***– ირანს გავლენის რომელი სფერო მიაკუთვნეს საქართველოში?***

– ირანს მიეცა უფლება, ორგანიზებულად ჩამოასახლოს საკუთარი მოსახლეობა. თბილისში ირანელების მომრავლება არავისთვის არ არის დაფარული. რეგიონული კატაკლიზმები უეჭველად გადმოიფრქვევა საქართველოში. განსაკუთრებით დატვირთული იქნება 2020 – საარჩევნო წელი.

***– გაუმკლავდება საქართველო სამმხრივ ექსპანსიას და თან კატაკლიზმებს?***

– თუ საქართველო თურქეთთან დაკავშირებულ პროცესებში არ დაიკავებს საჭირო პოზიციას, დამტკიცდება მისი ხელმძღვანელების სრული კასტრაცია. საქართველოს პოლიტელიტა ან რუსეთის აგენტურაა, ან რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს ფსევდოდასავლელი ან აშკარად რუსეთუმე პოლიტიკოსები ღალატობენ ქვეყნის ინტერესებს და ჩაბმული არიან რუსულ წარმოდგენებში. ჩემნაირ მედასავლეთეებს ისინი ებრძვიან.

დარწმუნებული ვარ, ყველას ყველაფერი მოეკითხება. საზოგადოება მიხვდა, რა პოლიტიკური სპექტაკლები იდგმება საქართველოში, რატომ არის სიღატაკე და კრიზისი და ვის უნდა დაუჭიროს მხარი ამის დასაძლევად.

# რა შემოუთვალა ამერიკის საელჩომ ივანიშვილს

## ზარდიაშვილი არაფორმალურ დაჯგუფებას ქმნიდა და „ოცნებამ“ ამიტომ გაუშვა

გულიკო ბალაძე

დამთავრდა თუ არა კოჰაბიტაცია? რა ბედი ელით „ოცნებაში“ პორტირებულ ნაცებს? რა საშიშროება შეექმნა „ოცნებას“ ზარდიაშვილის ქმედებების გამო? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** პასუხობს.

***– ბატონო ბიძინა, თქვენი ხელისუფლების დროს „ოცნებისა“ და ნაცების ურთიერთობაზე მინდა გკითხოთ. მართალია, რომ 2013 წელს ბიძინას დაურეკეს ამერიკის საელჩოდან, რომ სააკაშვილს, ბოკერიას, ბაქრაძესა და ალასანიას ხელი არ ახლოთო? ეს ახლახან „ოცნების“ ერთ-ერთი ძველი აქტივისტისაგან მოვისმინე, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ. თქვენც გახსენათ.***

– ამისთანა ინფორმაციაზე დაზუსტებით საუბარი ძალიან რთულია. ზოგადად, მეც ვიცი, რომ დათქმა იყო, რომ ვილაცებისთვის ხელი არ უნდა გვეხლო, მათ მიმართ სამართლებრივი დევნა არ უნდა დაწყებულიყო. თუმცა, არ ვიცი, ბიძინა ვანიშვილს დაურეკეს თუ ხელისუფლების სხვა შტოებს.

***– ისიც თქვა, რომ 2013 წელს ბიძინა ივანიშვილი იმყოფებოდა ლანჩხუთში, იქ ვახშამი მოუწყვეს და ვახშმის შემდეგ უთხრა, ნაციონალებს უნდა მოვეფეროთო. ასეთ განცხადებას რით ახსნით?***

– არაფრით. ბიძინა ივანიშვილისთვის ლანჩხუთში ჩვენ დროს ვახშამი არავის გაუმართავს. შუხუთში ყოველწლიურად ტარდება ლელო. ბიძინა ივანიშვილი ლელოზე იყო ჩამოსული 2013 წელს, მაგრამ იქ ასეთი საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა. სხვა დროს თუ იყო რამე და ის პიროვნება შეესწრო, არ ვიცი.

***– ზოგადად, კოჰაბიტაცია ძალიან დიდ პრობლემად ექცა „ოცნებას“ და ქართველ საზოგადოებას.***

– კი, კი. დასავლეთის თხოვნა იყო, რომ სააკაშვილს, როგორც არჩეულ პრეზიდენტს, თავისი პრეზიდენტობის ვადა დაესრულებინა. ჩვენი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ერთ წელი სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, მაგრამ შეზღუდული იყო, ვერაფერს ბედავდა, ბევრი რაღაც ვერ გააფუჭა. ეს კი ნამდვილად იყო. ასევე არჩეული მერი გახლდათ უგულავაც. სანამ არ ამოწურა თავისი ვადა, ხელი არ გვიხლია. ასეთი მიდგომა სწორიც იყო მსოფლიო დემოკრატიის თეორიით და ყველა მიმართულებით.

მერე კი, როგორც კი უგულავას მერობის ვადა ამოიწურა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა, დააპატიმრეს. სააკაშვილიც დევნაშია. კოჰაბიტაცია არასწორად გაიგეს შუა რგოლის წარმომადგენლებმა. ზოგმა ნაცებსაც დაუთმო ადგილი.

ადგილობრივი თვითმმართველობაც არჩეული იყო და არ შევხებივართ. ვინც დანაშაული ჩაიდინა, ის თუ დაიჭირეს, თორემ სამსახურებიდან არავინ გაგვიყრია.

***– იმ ერთ წელიწადში სააკაშვილმა ბევრი ვერაფერი გააფუჭაო. სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის ბოლო წელს ორი რაღაც გააფუჭა.***

– ხშირად ვეტოებს იყენებდა.

***– ვეტოებს არ ვგულისხმობ. მახსოვს, ბოლო პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის უცხოელ მსურველთა რიგი იდგა და ყველას მისცა მოქალაქეობა.***



– დიახ, მახსოვს, ინვესტიციები შემოაქვთო და ბათუმში დაახლოებით 30 ათას უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა უბოძა.

***– ასევე სააკაშვილმა ბოლოს ბევრი ისეთი შეიწყალა, რომელიც შესაწყალებელი არ იყო.***

– დიახ, შეწყალების აქტს მოაწერა ხელი, მკვლელები, ნარკომანები და საშიში დამნაშავეები გამოუშვა. მეტის გაფუჭება ვეღარ გაბედა. შეწყალება მისი ექსკლუზიური უფლება იყო და ამას ვერ შეაჩერებდი.

***– ახალი მთავრობის დამტკიცების დროს, პარლამენტში გახარიამ ნაციონალებს უთხრა, თქვენ დაგამთავრებთო.***

– დაგამთავრებთო, რომ თქვა, გახარიამ კოჰაბიტაციის დამთავრება იგულისხმა. თქვა, 2020 წელს არჩევნების დროს, ხალხი გამოგიტანთ განაჩენსო.

***– 2020 წლის არჩევნების შემდეგ, მთავრობის შესაქმნელად „ოცნებისა“ და ნაცების თანამშრომლობა საჭირო რომ გახდეს, სრულიად გამორიცხავთ ასეთ ვარიანტს?***

– თანამშრომლობის არავითარი სურვილი და რაიმე ნიშანი არ არსებობს. თანამშრომლობის აუცილებლობაც არ არის. პირიქით, ეს ძალა უკვე დეგრადირებულია. ამ ძალამ ამოწურა თავისი ცუდი მისია და დაამთავრა. ხომ ხედავთ, ახლა როგორ არიან დაშლილები და მოშლილები, მერე მათი შეკავშირება ძნელია. ყველაფერი ხდება, მაგრამ რაღაც არ მგონია, ასე მოხდეს.

***– ბევრს საუბრობენ პორტირებულ ნაცებზე. მათ რა ეშველებათ?***

– ისინი ნელ-ნელა, მგონი, თავის ადგილს პოულობენ. რთული პროცესია. ერთი წლის განმავლობაში როგორ დალაგდება სიტუაცია, არ ვიცი, მაგრამ პროცესი ნელ-ნელა მიდის და ვნახოთ.

***– ნაცებთან და მათ განაყოფ პარტიებთან კოჰაბიტაცია დასრულებულია?***

– მე, მგონი, კი. ყოველ შემთხვევაში, იმ შეცდომებს, რომელიც დაშვებული იქნა წინა წლებში ამ მიმართულებით, ხელისუფლება აღარ დაუშვებს. თუ არ ვცდები, გარკვეულმა პირებმა მაგასთან დაკავშირებით საყვედურებიც მიიღეს.

***– ვისგან, ბიძინა ივანიშვილისაგან ხომ არა?***

– მმართველი პარტიის ხელმძღვანელებმა. ბიძინაზე ვერ ვიტყვი, რომ ამ თემაზე საუბარი ჰქონდა. მე შეხვედრებს არ ვესწრებოდი და ასე ვერ გავკადნიერდები. თუმცა, მე როგორც ვიცი, გარკვეულმა პირებმა საყვედური მიიღეს.

***– საინტერესოა, ვინ მიიღო საყვედური.***

– ვინც ნაცების პორტირებას ხელი შეუწყო. ბოლოს ზარდიაშვილის თემაც გაჟღერდა.

***– ზარდიაშვილთან დაკავშირებულ პროცესს როგორ უყურებთ. თუნდაც ეკა ბესელიასთან დაპირისპირებას.***

– არც ერთი მხარე არ ბრწყინავს. ეკა ბესელიას თუ რაღაც წამოაძახა, არც ეკამ დააკლო ხელი. საქართველოს პარლამენტარიზმისთვის წამოძახებები და შეურაცხყოფები ძალიან ცუდია. ასე მსჯელობა არ შეიძლება. როცა მე პარლამენტში ვიყავი, ნაცებს თუ ვეკამათებოდი, არგუმენტებით ვეკამათებოდი.

ყოველ შემთხვევაში, არ გამილანძღავს. ისინი ბევრს კადრულობდნენ, მაგრამ ჩვენ მათნაირად არ ვიქცეოდით. მორალთან შეხება და ასეთი თემების წამოძახება ძალიან ცუდია – პოლიტიკოსის სამოქმედო არეალი არ არის.

***– ზარდიაშვილის წასვლით „ოცნებამ“ რამე დაკარგა?***

– არა მგონია, პირიქით. გავიგე, რომ ზარდიაშვილი ცოტა სხვა თემებსაც შეეხო.

***– რა თემებს შეეხო?***

– რაღაც დაჯგუფებას ქმნიდა, გავლენის სფეროებს ავითარებდაო და ა.შ.

***– არაფორმალურ დაჯგუფებას ქმნიდა და „ოცნებისთვის“ საშიშროებას წარმოადგენდა?***

– დიახ, ეს ცუდად აღიქვეს, მიუთითეს და, როგორც ვიცი, ამიტომ წავიდა. ზარდიაშვილს არა მარტო ეკა ბესელიასთან დაპირისპირების გამო, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებითაც უსაყვედურეს და ამიტომ დატოვა პარლამენტი.

# ზაალ უდუმაშვილი: „ოცნება“ პარტიებს დაემუქრა, მასთან თანამშრომლობა ოპოზიციისთვის ხარაკირია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ქმნიან ერთკაციან პარტიებს. ეს პარტიები იმიტომ იქმნება, რომ შეიყვანონ პარლამენტში და შემდეგ მათთან რაღაცნაირად ითანამშრომლონ.

***– გუშინ უკვე შეცვალა ირაკლი კობახიძემ, რომელმაც თქვა, რომ 60%-ს ავიღებთ ჩვენ, 20%-ს ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთად აიღებენ 20%-ს, ხოლო დანარჩენი პარტიებიც 20%-სო. ეს განცხადება რას ნიშნავს?***

– ეს რეალურად არ არის სიმართლე. იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი როდესაც დადის რეგიონებში თავის მხარდამჭერებთან, უკვე ღიად საუბრობს მათთან, რომ „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება უმრავლესობის დაკომპლექტება. ახლა ნებისმიერი კვლევა, რაც არ უნდა დავდოთ, ნებისმიერ მონაცემებში, საერთო ოპოზიციური ხმები რომ გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე „ქართული ოცნების“ ხმებია, ამაში ეჭვი მგონი არავის არ ეპარება.

შესაბამისად, ახლა იმიტომ გამოიყვანეს ირაკლი კობახიძე წინა პლანზე, რომ რაღაცნაირად სწორი გზავნილები, უფრო სწორად, მათთვის გასაგები გზავნილები მიეწვდინათ პატარა პარტიებისთვის. თორემ მათ რომ რეალურად



ახლა არ უჭირდეთ ასე, მაშინ არც იქნებოდა საუბარი იმაზე, რომ რაღაცნაირად ვილაცასთან ითანამშრომლონ იმისთვის, რომ მთავრობა დააკომპლექტონ. რადგანაც მათ ძალიან უჭირთ ამ მიმართულებით, სწორედ ამიტომ გამოიყვანეს ირაკლი კობახიძე წინა პლანზე და მხოლოდ და მხოლოდ ეს ახსნა აქვს ამ გადაწყვეტილებას.

***– ანუ, ეს არის ერთგვარი პოლიტიკური მანიპულაცია მმართველი გუნდის მხრიდან?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური მანიპულაცია და წინასწარ ამზადებენ ნიადაგს იმისთვის, რომ გარშემო შემოიკრიბონ რაღაცა ერთკაციანი პარტიები და ამით შექმნან კოალიცია.

***– შეაფასეთ ის რიტორიკა, რაც გვესმის თქვენი პარტიისგან და „ევროპული საქართველოსგან“ ერთმანეთის მიმართ, როდესაც მწვავე პოლემიკა გაქვთ სხვადასხვა საკითხებზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს აზიანებს საერთო ოპოზიციურ მიზანს და ნებსით თუ უნებლიეთ ხომ არ არის ეს ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმა?***

– რა თქმა უნდა, აზიანებს ოპოზიციის მიზანს. იმიტომ, რომ პირადად ჩემი პოზიცია ასეთია, რომ ახლა ჩვენ, ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ ის პრეტენზიები, რაც გაგვაჩნია ერთმანეთის მიმართ. რა თქმა უნდა, ეს პრეტენზიები არსებობს და ამას ვერავინ ვერ დამალავს. ყველა პარტიას განსხვავებული სტრატეგია და ტაქტიკა გააჩნია და, შესაბამისად, არსებობს ეს პრეტენზიები. თუმცა, ახლა ამის დრო ნამდვილად არ არის.

ახლა ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ ერთი მიზნის გარშემო, რომელსაც ჰქვია ივანიშვილის რეჟიმის შეცვლა. ამ დროს ჩვენ რომ ერთმანეთში ვარკვევდეთ ვითარებას, სწორედ ეს სურს ბიძინა ივანიშვილს. მისი ამოცანა ზუსტად ეს არის, რომ რაც შეიძლება მეტად დაქსაქსოს ოპოზიცია გაერთიანების ნაცვლად.

ზოგადად გაერთიანებას ალტერნატივა არ გააჩნია. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რასაც ჩვენი ოპონენტები აცხადებენ. მხედველობაში მაქვს ის განცხადებები, როცა ამბობენ, რომ ერთმანეთში განსხვავებები უნდა ვეძებოთ და ამომრჩეველს მრავალფეროვნება შევთავაზოთ. არ ვეთანხმები ამას და პირიქით ვფიქრობ. ამომრჩეველს გაერთიანება უნდა დავანახოთ. სხვათა შორის, ეს ნათლად გამოჩნდა საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც გაერთიანებამ აიღო ზუსტად ის 850 000 ხმა, რომელიც ოპოზიციის კანდიდატმა აიღო. ასე რომ, გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვს და ის ლოზუნგი, რაც გაერთიანებულ ოპოზიცია აქვს – „ძალა ერთობაშია“, ნათლად განსაზღვრავს არსებულ მდგომარეობას.

***– გააძლიერებთ კონსულტაციებს ოპოზიციური გაერთიანების მიმართულებით?***

– რა თქმა უნდა, ჩვენ გავაძლიერებთ ამ მიმართულებით საუბარს. აბსოლუტურად ყველა პროდასავლურ პარტიასთან დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა შევაჯეროთ ჩვენი პოზიციები და დარწმუნებული ვარ, რომ მოხდება უმრავლესობის შეჯერება. მგონია, რომ მოხდება რაღაც პოზიციებზე შეჯერება, თუ არა დაახლოება მოხდება, რადგანაც ყველას მიზანი ერთია და ამ მიზნის გარშემო, რა თქმა უნდა, ყველა უნდა გავერთიანდეთ.

# ხაშურში მშობიარე ინგა კაკიაშვილი გარდაიცვალა

## ის მე-5 შვილს აჩენდა, რომელიც ასევე გარდაიცვალა

ტრაგედია დატრიალდა ხაშურის მუნიციპალიტეტში. გუშინ, 15 ოქტომბერს, გამთენიისას სამშობიარო სახლში 40 წლის ინგა კაკიაშვილი გარდაიცვალა.

სურამში მცხოვრები ინგა კაკიაშვილი მეხუთე შვილს აჩენდა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. გარდაცვლილის დედის, ლია კაკიაშვილის თქმით, მისი შვილი კლინიკაში 14 ოქტომბერს დილით შეიყვანეს.

გარდაცვლილი დედა-შვილის ოჯახი „ევექსის“ კლინიკის ექიმებს უყურადღებობაში ადანაშაულებს. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ექიმებმა მშობიარეს საკეისრო კვეთა არ გაუკეთეს, რაც ფატალური შედეგის მიზეზი გახდა.

მშობიარე ქალისა და ჩვილის გარდაცვალების ფაქტზე, რეგულირების სააგენტომ მოკვლევა დაიწყო. შეიქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც ფაქტს ადგილზე შეისწავლის.

– დაწყებულია საკითხის შესწავლისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურა. შუამდგომლობა უკვე გაგზავნილია სასამართლოში, შეიქმნება შესაბამისი რეგულირების კომისია და ადგილზე განხორციელდება საკითხის შესწავლა, – განაცხადა რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ხუციშვილმა.

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალის დირექტორის განცხადებით, პერსონალს, რომელიც მონაწილეობდა გადაწყვეტილებების მიღებაში, დროებით, საბოლოო დასკვნის მიღებამდე, სამედიცინო საქმიანობის უფლება შეუჩერდა.

– მშობიარობის მართვისას გამოიხატა გართულებები. გართულებების დროს გაწეული ქმედითი ღონისძიებებისა და ქირურგიული ჩარევის მიუხედავად, ველარ მოხერხდა დედაშვილის გადარჩენა.

წესით, ასეთი სირთულის შემთხვევა არ უნდა იმართებოდეს, ანუ აქ უნდა იდგეს საკითხი ოპერატიული რეფერირების, იმ დაწესებულებაში, რომელიც უფლებამოსილია ასეთი სირთულის შემთხვევების მართვის, – განუცხადა კურიერს ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალის დირექტორმა კახა ხელაძემ.

მისი თქმით, დედა-შვილის დაღუპვის მიზეზი მედპერსონალის მხრიდან „მათი მდგომარეობის შეფასებისა და გადაწყვეტილების ნაწილში გადაცდომა იყო“.

– ხაშურის ჰოსპიტალის ადმინისტრაცია და სამედიცინო პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ამ ტრაგიკული ფაქტის გამო. მინდა საზოგადოებას ვაცნობო, რომ კლინიკის შიდა მოკვლევის სამსახურმა დაიწყო ამ ფაქტის განხილვა და ვადასტურებ, რომ ამ ეტაპზე, იკვეთება პროცესში მონაწილე პერსონალის გარკვეული გადაცდომა.

კლინიკას ლიცენზიის შესაბამისად, მინიჭებული აქვს პირველი დონე, რაც არ გულისხმობს ასეთი რთული შემთხვევების მართვას. კონკრეტული კრიტერიუმებია შემუშავებული, სად როგორი შემთხვევა უნდა იმართებოდეს. ზუსტად ამ კრიტერიუმებს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ასეთი პაციენტი ექვემდებარებოდა უფრო მაღალი დონის სამშობიარო გადაგზავნას.



სამწუხაროდ, მშობიარობის მართვისას გამოიკვეთა გართულებები და ამ გართულებებს მოჰყვა უკვე როგორც დედის, ისე ნაყოფის დაღუპვა. აღნიშნულ პერსონალს სამედიცინო საქმიანობა დროებით შეუჩერდება. საქმიანობა შეუჩერდება უშუალოდ იმ ექიმს, რომელმაც პროცესში მიიღო მონაწილეობა და მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, – განაცხადა კლინიკის დირექტორმა.

# „გოჩა ვეფხვაძის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი“

## მთაწმინდელი ძმები ქვეყნიდან უნდა გაპარულიყვნენ

ლისის ტბაზე დაპირისპირებისას დაჭრილი გოჩა ვეფხვაძის გარდაცვალების შემდეგ კურიერის რედაქციას კონფიდენციალურმა პირმა ელექტრონული ფოსტით წერილი გამოუგზავნა. გზავნილის ავტორი კურიერს ახალი ფიგურანტების შესახებ ამცნობს.

წერილში ნახსენებია, რომ მიმალვაში მყოფ 5 პირს ყოფილი მაღალჩინოსანი და მისი დაჯგუფების წევრები ეხმარებოდნენ.

წერილში ნახსენები არიან მთაწმინდელი ძმები, რომლებიც ქვეყნიდან უნდა გაპარულიყვნენ უცნობი პირის დახმარებით.

კურიერმა არ გაასაჯაროვა ინფორმაცია წერილში დასახელებული პირების შესახებ, რადგან მათი გვარები არ ფიგურირებს საქმის ოფიციალურ ნაწილში.

გადამღები ჯგუფი შეეცადა მათთან გასაუბრებას და კითხვებზე პასუხის მიღებას, ასევე დაუკავშირდა მათთან დაახლოებულ პირებსა და ადვოკატებს, რათა კითხვებზე კონკრეტული






პასუხები მიეღო. პასუხების მიუღებლობის შემთხვევაში კურიერი წერილის სრულ ვერსიას გამოაქვეყნებს, სადაც მათი სახელები და გვარები იქნება მოცემული.

როგორც წერილის ავტორი ამტკიცებს, მკვლელობა წინასწარ დაგეგმილი იყო, ხუთივე პირს ჰქონდა იარაღი და იცოდნენ, როგორ და ვისი დახმარებით უნდა მიმალულიყვნენ.

ამ დეტალებზე გოჩა ვეფხვაძის ადვოკატი ვერ საუბრობს. ის ჯერ კიდევ არ იცნობს საქმის დეტალებს. დაცვის მხარეც ვარაუდობს, რომ ბრალდებულებს გავლენიანი მფარველები ჰყავთ, რადგან პროკურატურას გოჩა ვეფხვაძის ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე არ მიუნიჭებია.

გოჩა ვეფხვაძე 14 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, გარდაიცვალა. მრავლობითი ცეცხლსასროლი და დანით მიყენებული ჭრილობებით ის საავადმყოფოში 6 ოქტომბერს მოათავსეს. ვეფხვაძეს რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა, დასჭირდა ნეიროქირურგიული ჩარევაც.

მოკლულის ოჯახის წევრები საგამოძიებო უწყებების დაგვიანებულ რეაგირებაზე საუბრობენ. ასევე, გაუგებარია, რატომ გადაიყვანეს გარდაცვლილი მამაკაცი ექსპერტიზის ბიუროში ოჯახის ნებართვის გარეშე.

უკვე 9 დღეა, პოლიცია უშედეგოდ ეძებს გაქცეულ 5 მამაკაცს. ერთ-ერთი ბრალდებულის, დავით რუსიას, საცხოვრებელ სახლთან, მეზობლების თქმით, ჩხრეკაც ჩატარდა.

გაქცეულ დავით რუსიას, ნიკა კუტალაძეს, ვაჟა ოჩიგავას, ზაზა მაჩაბელსა და დავით ბერეჟიანს დაუსწრებლად ბრალი წარედგინათ, ბრალის წარდგენიდან 48 საათის შემდეგ კი მათ საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.

# თამარ საძაგლიშვილს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უტარდება

პეკინზე 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებულ თამარ საძაგლიშვილს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უტარდება. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საძაგლიშვილის ადვოკატმა, ალექსი გაბუნიამ განუცხადა.



როგორც გაბუნია აღნიშნავს, თამარ საძაგლიშვილი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გუშინ, 15 ოქტომბერს, გადაიყვანეს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უტარდება. დაახლოებით, 2-3 კვირაში, მის შერაცხადობასთან დაკავშირებით, ექსპერტიზის დასკვნა იქნება.

ამასთან, ჩვენ მივიღეთ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანს მსუბუქი ხარისხის დაზიანება აქვს მიყენებული. საძაგლიშვილს მძიმე ბრალს ედავებიან – სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას. აღნიშნული დასკვნა კი, არსებითად ცვლის სასჯელის სახეს. ჩასატარებელია კიდევ ერთი ექსპერტიზა, ეს დაზიანება ტოვებს თუ არა წარუშლელ კვალს, – განაცხადა გაბუნიამ.

თამარ საძაგლიშვილს ბრალი დაჭრილი არასრულწლოვნის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა და მისი დის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობისთვის წაუყენეს.

# აფეთქება დიდ დიღომში

## თორნიკე ტატიშვილს და ვაზირ მამადიანს 4-4 წელი მიესაჯათ

დიდ დიღომში მომხდარი აფეთქების საქმეზე დაკავებული პირები, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ყოფილი თანამშრომლები, თორნიკე ტატიშვილი და ვაზირ მამადიანი სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

ავთანდილის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას 4 ადამიანის, მათ შორის, 1 არასრულწლოვნის სიცოცხლე ემსხვერპლა.

62 წლის ვაზელ მამადიანი და 28 წლის თორნიკე ტატიშვილი 2019 წლის 18 იანვარს, სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს.

საქმის მასალების მიხედვით, ისინი ავთანდილის ქუჩის მცხოვრებლებმა აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიძახეს, თუმცა მათ კორპუსის გაზგაყვანილობა „არაჯეროვნად შეამოწმეს“.



# 19 წლის გოგონას მოტაცების საქმეზე 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1990 წელს დაბადებული ფ.ა. და 1991 წელს დაბადებული ი.ა. თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ფ.ა.-მ, თანამზრახველთან – ი.ა.-სთან ერთად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდში, ცოლად შერთვის მიზნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა ამავე სოფლის მკვიდრს – 2000 წელს დაბადებულ ბ.გ.-ს და ავტომანქანით მარნეულის მიმართულებით წაიყვანა.

სოფელ ქეშალო-2-ში მისვლისას, ბ.გ.-მ გაქცევა შეძლო, ფ.ა. და ი.ა. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა, ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# რუსთავში დავით მუმლაძის მკვლელობა ხაშურელმა ბიზნესმენმა ლევან ღონღაძემ შეუკვეთა?

რუსთავში მომხდარი შემზარავი მკვლელობის ახალი დეტალები გაირკვა – ბიზნესმენი ლევან ღონღაძე, ერთ-ერთი ვერსიით, 35 წლის დავით მუმლაძის, იგივე ზურა დადეშელის, მკვლელობის შემკვეთად სახელდება.

მან პირველი კომენტარი „მთავართან“ გააკეთა.

ხაშურში მცხოვრები ღონღაძე, მეტსახელად ავლანიჩი, სუპერმარკეტების ქსელ „მაგნატს“ ფლობს.

„მთავარის“ ინფორმაციით, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე „ავლანიჩმა“ მუმლაძეს ბეისბოლის ბიტით სცემა.

ლევან ღონღაძე დაპირისპირებას უარყოფს. მისი თქმით, მუმლაძე მისი ბავშვობის მეგობარი იყო და ბოლოს მკვლელობამდე 3 კვირით ადრე ნახა.

„მთავარის“ ინფორმაციითვე, აღნიშნულ შეხვედრაზე ლევან ღონღაძემ დავით მუმლაძეს იმ პირების ლიკვიდაციაში დახმარება შესთავაზა, რომლებიც ამჟამად დავით მუმლაძის მკვლელობაში ბრალდებულები არიან.

– ჩემი მეგობარი იყო, მიენდეთ




გამოძიებას. ვინ ვის მიაყენა შეურაცხყოფა?! ასეთი რამ არ ყოფილა ჩვენს ურთიერთობაში. სანამ გარდაიცვლებოდა, სამი კვირით ადრე ვნახე ჩემი მეგობარი. ვადასტურებ, რომ ჩვენ შორის არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. გამოძიებაც საქმის კურსშია და იციან, რა და როგორ იყო.

მე არავის დავუკითხივარ, – თქვა ღონღაძემ.

ბიზნესმენის თქმით, ის ყოფილი პოლიციელია და ბეისბოლის ბიტა არ სჭირდება. ის იმ პოლიციელებს არ იცნობს, რომლებიც საქმეზე დააკავეს.

ღონღაძე ამბობს, რომ მეგობრის გასვენებაში არ იმყოფებოდა, რადგან რუსეთში იყო.

# კასპში 5 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის მამაკაცს 6 წელი მიესაჯა

5 წლის ბავშვის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით დაკავებულ მამაკაცს გორის რაიონულმა სასამართლომ 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმის პროკურორის, ნათია კიკალიას თქმით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება სსკ-ის 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობდა და, შესაბამისად, ბრალდებულს სწორედ აღნიშნული მუხლით წარედგინა ბრალი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილი გულისხმობს ძალადობის გარეშე, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით, სრულწლოვნის გარყვნილ ქმედებას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებულმა, წინასწარი შეცნობით, თავის სახლსა და დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, 5 წლის ასაკის ბავშვის მიმართ რამდენჯერმე განახორციელა გარყვნილი ქმედება.

ფაქტი კასპის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. დაზარალებულის ინტერესებს საზოგადოებრივი ადვოკატი ქეთი გაგოევი იცავდა, თუმცა, გაგოევის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მცირეწლოვანია, საქმის მასალებსა და სხვა დეტალებზე კომენტარს ვერ გააკეთებს.

# სუსის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან, ფატმა ჯერენ იაზგანთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი.

მხარეებმა საქართველოსა და თურქეთს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრეს, ასევე ორი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები მიმოიხილეს.

საუბარი შეეხო საქართველოსა და თურქეთის უსაფრთხოების სამსახურებს შორის არსებული შესაბამისი



თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებს.

# სირიაში თურქეთის შეჭრის შედეგად, 160.000-მა ადამიანმა სახლები დატოვა


ERDEM SAHIN (EPA-EFE)

სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში თურქეთის სამხედრო ოპერაციამ რთული ჰუმანიტარული ვითარება წარმოქმნა. ათობით ათასი ადამიანი უკვე იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა.

როგორც გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის უწყებაში აცხადებენ, სულ მცირე 160.000-მა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი სახლი მას შემდეგ, რაც 9 ოქტომბერს თურქეთმა სამხედრო იერიშები დაიწყო.

ქურთების ინფორმაციით კი, მათი რიცხვი 275.000-ს აღწევს.

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებით, თურქეთის შეჭრა სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის საფრთხეს ქმნის.

— სამწუხაროდ, თურქეთს არ ეტყობა, რომ იგი ოპერაციის შედეგად გამოწვეული ჰუმანიტარული ეფექტების შემსუბუქებას ცდილობდეს, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

# რუსეთის პოლიციამ ნავალნის ფონდის ოფისებში რეიდი ჩაატარა

რუსეთის პოლიციამ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ალექსეი ნავალნის, ანტიკორუფციულ ფონდთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში მოულოდნელი ჩხრეკა ჩაატარა.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, რეიდები ქვეყნის 30 სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა და ის ფინანსურ დანაშაულებში ნავალნის ფონდის შესაძლო მონაწილეობას უკავშირდება.

პოლიციამ ორგანიზაციის თანამშრომლების საცხოვრებელი სახლებიც გაჩხრიკა.

ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედებით ხელისუფლებას კრემლის ოპონენტების გაჩუმება და დაშინება სურს.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ნავალნის ფონდი ფულის გათეთრებასა და უკანონო შემოწირულობების მიღებაში არაერთხელ დაადანაშაულა.



# მასშტაბური არეულობა ბარსელონაში




ბარსელონაში კატალონიელი სეპარატისტი ლიდერებისთვის პატიმრობის მისჯას მასშტაბური არეულობა მოჰყვა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ასობით ადამიანმა გააპროტესტა. ისინი ბარსელონას აეროპორტში შეიჭრნენ და ერთ-ერთი ტერმინალი დაიკავეს. შედეგად 100-ზე მეტი ავიარეისი გაუქმდა.

მანამდე აქტივისტებმა გადაკეტეს აეროპორტამდე მისასვლელი გზები, პარალიზებული იყო სარკინიგზო სისტემაც.

აეროპორტის ტერიტორიაზე დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. გარდა ამისა, კატალონიის დამოუკიდებლობის მხარდამჭერებმა ბარსელონას ცენტრში მასშტაბური აქცია გამართეს. შეფერხდა მეტროს მუშაობა და საგზაო სატრანსპორტო გადაადგილება.

14 ოქტომბერს ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ 9 კატალონიელ სეპარატისტ ლიდერს 9-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ლიდერებს ბრალად ედებათ 2017 წელს აჯანყება და საჯარო სახსრების ბოროტად გამოყენება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მეგან მარკლს ციტირებაში დაშვებული შეცდომის გამო დასცინეს

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლმა ამერიკელი მწერალი და პოეტი ქალის მაი ენჯელოუს ციტატაში შეცდომა დაუშვა და თაყვანისმცემლებისგან დაცინვა დაიმსახურა. ფრაზა გრამატიკული შეცდომით ჰერცოგინიამ ინსტაგრამში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა.

— ყოველ ჯერზე, როდესაც ქალი საკუთარ უფლებებს იცავს, ის, ისე, რომ თავადაც ვერ ხვდება ამას, ყველა ქალის უფლებებს იცავს, — იუწყება ენჯელოუს ფრაზა.

მეგან მარკლმა კი პირველ სიტყვა woman-ი (ქალი) შეცდომით მრავლობით რიცხვში დაწერა women. გარდა ამისა, მან სიტყვის წინ არტიკლი „a“ დასვა, რომელიც მომდევნო არსებითი სახელის მხოლობით რიცხვზე მიუთითებდა.

ჰერცოგინიას გვერდის ხელმომწერებმა ეს შეცდომა შენიშნეს და გააკრიტიკეს.

— „ქალი“ და არა „ქალები“ ამას განათლება სჭირდება, — დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

— ალბათ შეცდომა გაგეპარა, აქ მხოლობით რიცხვში უნდა იყოს, — შეცდომაზე მიუთითა მეორე ხელმომწერმა.

— შესანიშნავი პოზიტიური ციტატაა, ეს შეცდომა რომ არა, — შენიშნა მესამემ.

— ჯერ სხვისთვის უნდა მიგეცა წასაკითხად და მერე ისე გამოგექვეყნებინა, — დაწერა კომენტარში კიდევ ერთმა ხელმომწერმა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შეცდომისა, გამოქვეყნებიდან სამ საათში ციტატას უკვე 170 ათასი მოწონება ჰქონდა მიღებული.



# ხარმა ესპანელი პრინცესას შეყვარებულს ურქინა



ესპანეთში ხარმა საზარდულში მიაყენა ტრავმა ტორეადორს, რომელსაც ესპანეთის მეფის ნათესავთან აქვს ურთიერთობა.

27 წლის გონსალო კაბალიერო მადრიდის არენა „ლას-ვენტასზე“ ესპანეთის ეროვნული დღის დღესასწაულზე გამოდიოდა. მან ხარს დაშნა კისერში ატაკა, თუმცა გააფთრებულმა ცხოველმა მას ხურდა დაუბრუნა, რქა ამოსცხო და ჰაერში აისროლა, ხოლო როდესაც ტორეადორი არენას დაენარცხა, საზარდულში რქა ატაკა და თეძოს ვენა გაუხვრიტა.

ეს ყველაფერი კაბიეროს მეგობარი გოგონას, 19 წლის ვიქტორია ფრედერიკის თვალწინ მოხდა, რომელიც მეფე ხუან კარლოს I-ის ნათესავია და ტახტის მემკვიდრეთა რიგში მეხუთეა.

დაშავებული ტორეადორი დაუყოვნებლივ არენასთან მდებარე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ორსაათიანი ოპერაცია გაუკეთდა. ხალხმა მოითხოვა, რომ კაბალიერო გამოჩენილი სიმამაცისთვის ხარის ყურით დაეჯილდოვებინათ. მეორე ტორეადორმა ხარს ყური მოაჭრა და ის კაბალიეროს საავადმყოფოში მიუტანეს.

მოგვიანებით ტორეადორი ქალაქის საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს.

# კიმ კარდაშიანმა საკუთარი ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტზე ისაუბრა



ტელევარსკვლავმა და მეწარმე კიმ კარდაშიან-უესტმა ისაუბრა და გაიხსენა ის მომენტი საკუთარ ცხოვრებაში, როდესაც შეიარაღებული ძარცვის მსხვერპლი გახდა.

2016 წელს რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილის სასტუმროს ნომერში მძარცველებმა შეაღწიეს. ტელევარსკვლავის თქმით, მას პირსა და თვალებზე წებოვანი ლენტი დააკრეს.

— ეს იყო ყველაზე საშინელი მომენტი ჩემ ცხოვრებაში, ვფიქრობდი, რომ მომკლავდნენ. სიტყვებით ვერც კი გადმოვცემ, როგორი შეშინებული ვიყავი, — ამბობს კარდაშიანი.

ბოროტმოქმედებმა ტელევარსკვლავს ათი მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა წაართვეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# 22 ნოემბერს საქართველო ფლეი ოფების განრიგს გაარკვევს

როგორც იცით, საქართველომ ერთა თასის დ დივიზიონის ჯგუფი მოიგო, ისევე, როგორც ჩრდილოეთ მაკედონიამ, კოსოვომ და ბელარუსმა. სწორედ ეს კვარტეტი ნახევარფინალურ წყვილებს შეადგენენ, მათ შორის გამარჯვებულები კი ფინალს ითამაშებენ. აი, იქ მოგებული კი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

შესარჩევი ეტაპიდან.

რა მოხდება, თუ კოსოვო ან ჩრდილოეთ მაკედონია გავლენ შესარჩევიდან? მაშინ ერთა ლიგის ნახევარფინალებში შანსს მიიღებენ დ დივიზიონის ჯგუფებში საუკეთესო მეორეადგილოსნები. იქ კი სხვებთან შედარებით უპირატესობა ჯერ ლუქსემბურგს აქვს, შემდეგ – სომხეთს.



ერთა ლიგის ფლეი ოფების წილისყრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში 22 ნოემბერს გაიმართება. დღევანდელი მონაცემებით, გაისად 26, 27 და 28 მარტს შედგება ნახევარფინალები. ფინალები 29, 30 და 31 მარტს იქნება. 22 ნოემბრის წილისყრაზე გაირკვევა, თუ რომელი ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებული იქნება ფინალის მასპინძელი. ფინალი ერთმატჩიანია.

სადღეისო მონაცემებით, ერთა ლიგის ფლეი ოფში ჩვენ ბელარუსს უნდა ვუმასპინძლოთ, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონიამ – კოსოვოს. თუმცა, ამ ორივე გუნდს ჯერ კიდევ აქვს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი

თუ მხოლოდ კოსოვო გავიდა, მაშინ ერთა ლიგაზე ასეთი ნახევარფინალები იქნება: საქართველო-ლუქსემბურგი, ჩრ.მაკედონია-ბელარუსი. თუ კოსოვოელებიც გავიდნენ და ჩრდილომაკედონელებიც, მაშინ ნახევარფინალები ასე შედგება: საქართველო-სომხეთი, ბელარუსი-ლუქსემბურგი.

ბარემ ისიც დავწეროთ, რომ ევრო 2020-ის ფინალური ეტაპის წილისყრა 30 ნოემბერს გაიმართება. ამ დროისთვის 24 ნაკრებიდან 20 უკვე გასული იქნება, 4 კი მარტის ფლეი ოფებში გაირკვევა: ა, ბ, ც და დ დივიზიონების გამარჯვებულები დაემატებიან.

# ტაქსის მძღოლმა ჩაძინებული მგზავრი ქვეყნის მეორე ბოლოში ჩაიყვანა

ბრიტანელმა დიჯეიმ კრის რიდმა, რომელიც Plastician-ის ფსევდონიმითაა ცნობილი, ტვიტერში საკუთარ გვერდზე მოყვა იმის შესახებ, თუ როგორ შეეშალა ტაქსის მძღოლს მისამართი და ის ბრიტანეთის მეორე ბოლოში ჩაიყვანა.




– მთელი კვირის განმავლობაში ტაქსების კომპანიასთან საქმის გარჩევით ვიყავი დაკავებული. ვერ გამიგია, როგორ მოხდა ყველაფერი: სანამ ვთვლემდი და მეგონა, რომ ლონდონის ფულჰემის რაიონიდან ქალაქ კროიდონში მივდიოდი, მძღოლმა დიდი ბრიტანეთის მეორე ბოლოში ჩამიყვანა, – დაწერა რიდმა, – მე მიდლენდსში გამეღვიძა! ამასთან ტაქსის მძღოლს ჩემთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. ჩვენ ხუთნახევარი საათი ორმაგი ტარიფით ვმგზავრობდით.

შედეგად დიჯეიმ 1453 ფუნტი სტერლინგის ანგარიში მიიღო. მან ტაქსების კომპანიაში დარეკა, სადაც დაუდასტურეს, რომ შეკვეთაში მისამართი სწორად იყო მითითებული.

– ახლა ისინი ყველაფერს უარყოფენ, – ამბობს რიდი, – მაგრამ მათ არ აქვთ იმის მტკიცებულება, რომ მე ის მისამართი მივუთითე, სადაც სინამდვილეში მიმიყვანეს. ჩემ ცხოვრებაში იმ რაიონში არასოდეს ვყოფილვარ.

# ვერას წარმატებული დებიუტი სუპერლიგაში



### ვეჩა-ქუთაისი 84:76
(18:22, 19:14, 21:22, 26:18)

საქართველოს 28-ე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. ოლიმპიურ სასახლეში სუპერლიგის პირველი ტურის 3 მატჩი გაიმართა.

გასული სეზონის ფინალისტი ქუთაისი ლიგის დებიუტანტ ვერას შეხვდა. მატჩი ვერელების გამარჯვებით – 84:76 დასრულდა. დებიუტანტის მოქმედ ვიცე-ჩემპიონთან გამარჯვება იმის საფუძველს იძლევა, რომ ახალი სეზონი საკმაოდ თანაბარი და დაძაბული იქნება.

ვერას საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, ირაკლი ხოშტარია წვრთნის, რომელმაც დებიუტანტს ის დისციპლინა შეუნარჩუნა, რომელიც გუნდში გასულ წელს სერბმა სპეციალისტმა მილოშ პეიჩმა დაამყარა.

ვერელებმა ძალიან სტაბილურად ითამაშეს და შეხვედრა ისე მიჰყავდათ, რომ ძალები გადამწყვეტი მომენტისთვის შემოინახეს. პირველი პერიოდის 4 ქულით წაგების შემდეგ, ხოშტარიას გუნდმა თამაში დაალაგა. მე-2 მეოთხედი საკმაოდ საინტერესო გამოდგა, რომლის შუაწელში ქუთაისელებმა 10-ქულიანი უპირატესობა (32:22) მოიპოვეს, თუმცა ბრენდონ სლაის სწრაფი გარღვევებისა და ვახტანგ ქადარიას ფარქვეშ სიზუსტის წყალობით ვერელებმა ჩამორჩენა გააბათილეს და დიდ შესვენებაზე მინიმალური ლიდერობით გავიდნენ – 37:36.

ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას. ბოლო პერიოდის წინ ფრე იყო, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ვერელები მხოლოდ 2 ქულით – 73:71 იგებდნენ.

სწორედ აქ მოხდა ის, რაზეც დასაწყისში დავწერეთ – ხოშტარიას გუნდმა ისე ჩაამთავრა თამაში, რომ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. გივი ბაქრაძემ, ბრენდონ სლაიმ და ბექა ჩიკვილაძემ ზედიზედ ჩააგდეს უპასუხო ქულები და ვერა 82:73 გაალიდერეს, რითაც მატჩის ბედი გადაწყვიტეს. საბოლოოდ დებიუტანტმა 84:76 დაამარცხა ქუთაისი და არსებობის მანძილზე სუპერლიგის პირველ მატჩში საამაყო გამარჯვება მოიპოვა.

ვერელებს ბრენდონ სლაიმ ულიდერა 24 ქულით, 7 პასით და 6 მოხსნით. 21 ქულა მიითვალა ვახტანგ ქადარიამ, გივი ბაქრაძის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა.

ქუთაისელთაგან 17 ქულით, 11 მოხსნითა და 7 პასით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. 13 ქულა შონ რაუნდთრიმ, ხოლო 12 ჯეიმს მილიკენმა მიითვალა.

### ოლიმპი-დინამო 90:100
(22:27, 19:30, 24:17, 25:26)

მაკედონიელი მუია ტაჩის გაწვრთნილმა დინამოელებმა სუპერლიგა გამარჯვებით გახსნეს. გუნდური და გააზრებული თამაშის წყალობით დინამომ სასურველ შედეგს მიაღწია და საბოლოოდ 100:90 იმარჯვა.

მატჩი დინამოელთა უპირატესობით დაიწყო და ასევე დასრულდა. ამის მიუხედავად, მუია ტაჩის გაწვრთნილი გუნდისთვის გამარჯვება იოლად არ მოსულა. მებრძოლმა და შეუპოვარმა ოლიმპელებმა რევაზ როგავას მექულეობით მე-4 პერიოდში მაქსიმალურად დაძაბეს ვითარება, როცა შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მეტოქეს ჩამორჩენა 2 ქულამდე შეუმცირეს. მცირე უყურადღებობაც კი დინამოელებს შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდათ და ის სოლიდური უპირატესობა, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ, წყალში ჩაყროდათ.

ტაჩიმ წუთშესვენება აიღო და ოლიმპის პრესინგი, რომელიც დიმიტრი ჯაკობოვის გუნდმა მეტოქეს მისსავე ნახევარზე დაუწესა, წარმატებით დაშალეს.

მეტოქის დაცვის გატეხვას ლოგიკურად ქულების მოპოვება მოჰყვა, ცაიტნოტში ჩავარდნილმა ოლიმპელებმა კი სასიცოცხლო მნიშვნელობის შეტევები გააფუჭეს და თამაშის ბედიც გაირკვა. დინამომ 10-ქულიანი გამარჯვება გაიფორმა, ოლიმპს კი წაგებიდან დასკვნების გამოტანა მოუწევს.

გამარჯვებულებს 25 ქულითა და 6 პასით ტაილერ უილიამსმა ულიდერა. 21 ქულა და 11 მოხსნა სედრიკ ქაუნსილმა მიითვალა, ხოლო ლუკა ბულაშვილის ანგარიშზე 19 ქულა და 5 პასი დაგროვდა.

ოლიმპში 35 ქულით საუკეთესო იყო დავით როგავა. 17 ქულა კორი ჰოლდებმა დააგროვა, ხოლო აკიეან ფრედერიკმა – 16.

### კაკტუსი-მგზავრები 80:64
(21:20, 20:19, 19:10, 20:15)

თბილისური კლუბების – მგზავრებისა და კაკტუსის დაპირისპირება ამ უკანასკნელის 14-ქულიანი გამარჯვებით – 80:64 დასრულდა.

ისევე, როგორც სუპერლიგის თითქმის ყველა გუნდი, კაკტუსისა და მგზავრების შემადგენლობებიც თითქმის მთლიანად შეცვლილია. სუპერლიგის სადებიუტო ტურებში უნდა გამოჩნდეს, ვის რისი ამბიცია უნდა ჰქონდეს. მგზავრებისთვის ეს მატჩი მიმდინარე სეზონში პირველი იყო, რადგან ბუბა ბერიშვილის გუნდმა დუდუ დადიანის მემორიალი არ ითამაშა. მთავარი მწვრთნელი კი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩით კმაყოფილი ვერ იქნება.

თუკი პირველ ნახევარში მგზავრები ლეგიონერთა ხარჯზე ნორმალურად გამოიყურებოდა, მეორე ტაიმში აშკარად დაიჩაგა.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა, რომელმაც დუდუ დადიანის მემორიალზე ნახევარფინალში გასვლით საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მგზავრებს შანსი არ დაუტოვა. კაკტუსელებმა მესამე პერიოდი 19:10 მოიგეს და დასკვნითი ათწუთეულის წინ 11 ქულით დაწინაურდნენ – 60:49. ვითარება არც გადამწყვეტ მეოთხედში შეცვლილა. ძირითადად ლეგიონერების ხარჯზე, რომლებსაც ქულების მოპოვებაში მიხეილ ჭოჭუა და გიორგი დვალი ეხმარებოდნენ, კაკტუსმა ლიდერობა იოლად შეინარჩუნა და გამარჯვებამდეც დამსახურებულად მივიდა.

კაკტუსელებს 22 ქულითა და 7 მოხსნით ბრაიან უილიამსმა ულიდერა. 14 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა ჯასტინ ევერეტმა, ხოლო მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა.

მგზავრებში 18 ქულით, 11 მოხსნითა და 6 პასით საუკეთესო იყო ტაჯ სპენსერი, ხოლო სოსო გოგნაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# მიხეილ კობახიძეს ვერის სასაფლაოზე დაკრძალავენ

კინორეჟისორ მიხეილ კობახიძეს ვერის სასაფლაოზე 17 ოქტომბერს დაკრძალავენ. მას უკანასკნელ გზაზე ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან გააცილებენ და ვერის სასაფლაოზე დაკრძალავენ.



რეჟისორი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას ქართული კინოს უკანასკნელ რომანტიკოსს, უნიკალურ ოსტატს და შავ-თეთრი კინოს ჯადოქარს უწოდებდნენ. მისი ნამუშევრები დაუვიწყარია და გულგრილს არავის ტოვებს.

– ყველა ჩემი ფილმი, ჩემთვის ექსპერიმენტია, სიზმრის ფორმა აქვს. ეს არ არის ჩვენი რეალობა, ხოლო განცდა, რომელიც მას მოაქვს, ჩვენი რეალობისა და სიზმრის დამაკავშირებელია. სიზმარი სხვა რეალობაა, მხოლოდ უნდა შეაღო ის კარი, რომელსაც იქ შეყავხარ. თუ იმ კარის შეღების გეშინია და ამ რეალობას ებღაუჭები, უსუსური ხდები. ხელოვნება საშუალებას გვაძლევს, შევაღოთ კარი, რომელსაც სხვა რეალობაში შევყავართ, – ამბობდა მიშა კობახიძე.

„ქოლგა“, „ქორწილი“, „მუსიკოსები“ – ეს მისი ფილმებია. „მუსიკოსების“ გადაღების შემდეგ რეჟისორს მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე რომანოვის განკარგულებით, დამოუკიდებლად ფილმების გადაღება აეკრძალა.

33-წლიანი პაუზის შემდეგ, მიშა კობახიძემ კინოში მოღვაწეობა საფრანგეთში განაახლა. 2001 წელს საფრანგეთში მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გზაზე“. მას ორი პროექტი განუხორციელებელი დარჩა: ერთი, ხუთი ნოველისაგან შემდგარი სრულმეტრაჟიანი ფილმი, მეორე, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორც ღრუბელი“.

მიხეილ კობახიძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით რეჟისორებმა ლაშა ოთხმეზურმა და ვახო ვარაზმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“. მისი მთავარი გმირი თავად მიხეილ კობახიძეა, რომელიც საკუთარი შემოქმედების შესახებ გვიყვება. რეჟისორებმა ფილმში იუბილარი ხელოვანის ექვსი კინონოველა გააერთიანეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 2. წაგრძელებული, უგუმბათო ტაძარი; 3. უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 4. კუთხე საქართველოში; 5. საკანონმდებლო ორგანო; 10. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 11. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები; 12. გერმანული ჟურნალი; 13. გემის სამზარეულო; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 17. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 19. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 21. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 23. უზენაესი ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 6. ტბა საქართველოში; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 8. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. ქართველი მწერალი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. მდგომარეობა კრივში; 22. ქართველ მწერალ ლეო შენგელაიას ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. მაკედონიის დედაქალაქი; 25. მაღალხარისხოვანი ნაყინი; 26. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფლეგმა; 2. აიდა; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. პასტელი; 8. ზენიტი; 9. ზინგშპილი; 12. ზუროსი; 14. კატარი; 16. ოკაცე.

**თარაზულად:** 1. ფუმიცაცია; 6. ალეგორია; 7. ეპიზოდი; 9. ზღარბი; 10. რიყე; 11. ლიპტონი; 13. ტოკაი; 15. სულიკო; 18. ხორავა; 19. სიურტე; 20. ჰელიოსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭრიჭინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. რეტროგრადი; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. ნესტანი; 13. ბომბორა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ისლანდია; 21. ცირკი; 23. კენზო.

**თარაზულად:** 6. ტროგლოდიტი; 7. შაჰნამე; 8. გიშერი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. პენსი; 20. ზოსტერა; 22. მაკრონი; 24. მიოპია; 25. გლიპტიკა; 26. ბაზაზი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ოქტომბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.9701

ევრო — 3.2725

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7631

100 რუსული რუბლი — 4.6307

**ამინდის პროგნოზი 16 ოქტომბერი**








16 ოქტომბრიდან
გიორგი კოკოშაშვილი
ქართული საბრძოლო ხელოვნება
ჩვენი ღირსებანი
ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

5 ნოემბრიდან
საქართველოს ისტორია პატარებისთვის
ბაზალეთისა ტბის ძირას
წიგნი III
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## ალექსის სანჩესს შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს



მილანის ინტერის ფორვარდს ალექსის სანჩესს შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს, რადგან მისი ტრავმა სერიოზულია.

სანჩესს მუხლის დაზიანება აქვს და ამის გამო მან შესაძლოა 3 თვეზე მეტი გამოტოვოს. ინტერში ამ თემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა არ უარყოფენ, რომ სანჩესის ტრავმა სერიოზულია.

ალექსის სანჩესი ინტერს იჯარის წესით შეუერთდა და მასზე უფლებები კვლავ მანჩესტერ იუნაიტედს ეკუთვნის, სადაც ალექსისი 2018 წელს გადავიდა.

## ალესანდრო ნესტა: „მილანი თითქოს მახეშია გაბმული“

მილანის ლეგენდამ, ალესანდრო ნესტამ, რომელიც ამჟამად მწვრთნელად მუშაობს, თქვა, რომ მისი ყოფილი გუნდი თითქოს მახეშია გაბმული და ვერ ახერხებს ამ მახიდან თავის დაღწევას.



ნესტას აზრით, გუნდში ახალი სისხლია საჭირო:

— ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ყველა, ვინც მილანში მიდის, მახეში ებმება და ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებს. ვფიქრობ, მილანს ახალი ფეხბურთელები სჭირდება. იმედი მაქვს, მილანი კრიზისიდან გამოვა და ძველ დიდებას დაიბრუნებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

— გიგი, ორი ტომარა რომ იპოვო, ერთი — ჭკუით, მეორე — ოქროთი სავსე, რომელს აიღებდი?

— ოქროს.

— აი მე კი — ჭკუას.

— რა თქმა უნდა, ყველა იმას ამჯობინებს, რაც აკლია.

•••

ტელეფონის ზარი:

— ალო, მე თეა მქვია და ზოოპარკიდან ნიანგი მოვიპარე.

— ბოდიშით, მაგრამ ეს ანონიმი ალკოჰოლიკების საზოგადოებაა.

— თქვენ რა, ფიქრობთ, რომ ფხიზელი ვიყავი?

•••

წყვილმა რესტორანში ისადილა. გოგონამ ოფიციანტს უხმო და ფულის გადახდას აპირებს. ამ დროს ბიჭი ეუბნება:

— საყვარელო, არ გინდა, მე გადავიხდი, შენ მხოლოდ ფული მომეცი.

•••

დილაა. წყვილი საწოლში წევს. ქალი კაცს ეუბნება:

— ძვირფასო, დამესიზმრა, რომ ფეხმძიმედ ვარ!

— ჰმ, ექიმს გაესინჯე......

— ვიყავი და სიხარულისგან ლამის შევიშალე!

— ფსიქიატრსაც გაესინჯე...

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

— რა არის „დიპლომატია“?

— დიპლომატია იმის ხელოვნებაა, რომ იძახო ფრაზა „კარგი ცუგა“ მანამდე, სანამ ხელში კარგი ჯოხი არ მოგხვდება.

•••

მეზობელი ქალი მეზობელ მამაკაცს ეკითხება:

— რატომ არ შემოდიხართ?

— კი მაგრამ, თქვენ ხომ უარი მითხარით...

— კატეგორიული უარი ხომ არ მითქვამს...

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:

— მას შემდეგ, რაც მოხდა, მე, როგორც პატიოსანი ადამიანი, ვალდებული ვარ ცოლად შეგირთოთ.

ქალი შეცბუნებული სახით:

— და რა მოხდა?

## ანა ჩირაძე და კოტე თედელური დაქორწინდნენ



სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთი პერსონაჟი ჩიკა, იგივე ანა ჩირაძე კოტე თედელურზე დაქორწინდა. წყვილმა დაქორწინება სრულიად მოულოდნელად გადაწყვიტა.

ინფორმაცია ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

— აი, ასე, უცებ, ჩიკამ — ანა ჩირაძემ და კოტე თედელურმა დაქორწინება გადაწყვიტეს და თელავში ხელი მოაწერეს. მეჯვარეები ქეთი დევდარიანი და ეკა ჩხეიძე იყვნენ.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, სწორედ მაშინ, როცა დასრულდა მოძრაობა ძალა ევროპაშია.

ასე რომ, ეს ყველაზე ევროპული წყვილია და ვულოცავ მათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ნეიმარმა ისევ ტრავმა მიიღო



ბრაზილიის ნაკრების და პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა ნაკრების თამაშის დროს ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს.

ბოლო პერიოდში ნეიმარი საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს და სწორედ ამ მიზეზით მან ბევრი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამოტოვა როგორც ნაკრებში, ასევე გუნდშიც.

ამჯერად ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ ნეიმარს ისევ მოუწევს რამდენიმე მატჩის ტრიბუნიდან ყურება, რაც პსჟ-ს ფანებს უფრო გაალიზიანებს.

გულშემატკივრები ბრაზილიელ ვარსკვლავს ისედაც უსტვენდნენ, რადგან ფიქრობენ, რომ მას პსჟ-ში თამაში არ უნდა.

## კრიშტიანო რონალდუმ მე-700 გოლი გაიტანა

პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ თავის კარიერაში მე-700 გოლი გაიტანა. რონალდუმ ეს უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ გააკეთა, თუმცა მისმა გოლმა პორტუგალია მარცხს ვერ გადაარჩინა.

მატჩის შემდეგ რონალდუმ განაცხადა, რომ მისი წარმატებები თანაგუნდელების დამსახურებაც არის:

— ძალიან მიხარია, რომ ამ ნიშნულს მივაღწიე და, ბუნებრივია, გაჩერებას არ ვაპირებ. ჩემი თანაგუნდელები მეხმარებიან როგორც გუნდში, ასევე ნაკრებში. სამწუხაროა, რომ დღეს დავმარცხდით, მაგრამ უფრო ძლიერები დავბრუნდებით.



## არსენ ვენგერი: „თავის დროზე რეალს უარი ვუთხარი“



არსენალის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც მას რეალი ეპატიჟებოდა. ვენგერს ზუსტად წლები არ დაუსახელებია, მაგრამ, მისი თქმით, რეალში გადასვლაზე სერიოზული საუბრები იყო, მაგრამ ვენგერმა არსენალში დარჩენა ამჯობინა:

— არსენალში ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ იყო პერიოდი, როდესაც სერიოზული შემოთავაზებები მქონდა, მათ შორის რეალისგანაც, მაგრამ მათ უარი ვუთხარი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ რეალში ისეთი გავლენა არ მექნებოდა, როგორც არსენალში მქონდა და თავისუფლად მუშაობას ვერ მოვახერხებდი.

## ასტროპროგნოზი



16 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** — მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** — დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** — პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** — ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** — უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** — ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** — წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** — ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** — დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** — არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი-კომიკოსი; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 5. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 8. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 9. უზადო ბრილიანტი; 12. ყვავის ნაშიერი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად**: 1. მთიანეთი ავლანეთში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. გერმანული იმპერია; 10. წყალქვეშა კლდე; 11. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 13. ჟანგბადისა და წყალბადის ნაერთი; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შიშით გამოწვეული მღელვარება; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

